

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

დოდო ჭუმბურიძე

მარტყოფისა და მარაპდის
ბრძოლები

მეომრის ბიბლიოთეკა №16

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეთექვსმეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ნინო გიგანი

ყდის დიზაინი:

გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ზარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიული სამსართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები XVII საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ორი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია. მარტყოფში ქართულმა მხედრობამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მარაბდაში – დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ორივე ომი ქართული იარაღის ძლევამოსილებასა და მხედრული ნიჭის უკვდავებას უკავშირდება. ტყუილად კი არ წერდა პოეტი: „თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა“—ო. არის დამარცხება, რომელიც გამარჯვებას უტოლდება. ძლევამოსილი შაპ-აბასის თვალში, მარაბდის ომი გამარჯვების კი არა, მარცხის ტოლფასი იყო, რადგან თითქმის მთელი ჯარი გაუწყვიტეს ქართველმა მეომრებმა. თუ საბოლოო გამარჯვება ქართველებმა ვერ მოიპოვეს, ეს ქართულმა ხასიათმა განაპირობა: თავკერძობამ, შიდა დაპირისპირებამ, უნდობლობამ და სიხარბემ.

სამხედრო სტრატეგიაში გამარჯვების ხელოვნების შესწავლას მჭიდროდ უკავშირდება საბრძოლო მარცხის გამომწვევი მიზეზების გააზრება, რადგან წარმატება და მარცხი ხშირად ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან. მარტყოფისა და მარაბდის ომებს ეპოქალური მნიშვნელობა აქვს – ქართველი ხალხის გამოჩენილმა გმირობამ, თავგანწირულმა სულისკვეთებამ აიძულა სპარსეთის ვერაგი შაპი – აბას I ხელი აეღო მზაკვრულ გეგმაზე, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ქართული მოსახლეობის აყრას, სპარსეთში გადასახლებასა და ამ მიწაზე ირანული ტომების ჩამოსახლება-დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. ამ ჩანაფიქრის აღსრულებისას შაპი მოღალატე ქართველების გამოყენებასაც ფიქრობდა. მათ შორის იყო შაპის კარზე შეხიზნული სარდალი, რჩეული სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული, თბილისისა და დვალეთის მოურავი გიორგი სააკაძე. სააკაძეს შაპ-აბასისადმი ერთგულება უკვე რამდენჯერმე ჰქონდა დადასტურებული, მაგრამ შაპი ასე დიდმნიშვნელოვან საქმეში ბოლომდე მას მაინც ვერ ენდობოდა. თავის მხრივ, სააკაძის წინაშეც დადგა სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევანი: ან სამშობლოს გადარჩენა, ან შაპის კარზე წარმატებული კარიერის სანაცვლოდ, სამშობლოს საბოლოოდ დაქცევისათვის დაეჭირა მხარი. მარტყოფის ომში მან არჩევანი საქართველოს სასარგებლოდ გააკეთა.

იმისათვის, რომ კარგად ჩავწევდეთ ამ ორი ომის სულისკვეთებასა და მნიშვნელობას ჩვენს ისტორიაში, უნდა გავიხსენოთ XVII საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიული რეალობა, ქართლ-კახეთის სამეფოსა და მის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური სურათი; წარმოვიდგინოთ ამ დრამატული მოვლენების მთავარი მოქმედი გმირები: ქართლის მეფე ლუარსაბ II, კახეთის მეფე თეიმურაზ I, სპარსეთის ვერაგი შაპი – სეფიანთა დინასტიის ყველაზე გამორჩეული თვითმპყრობელი, „სპარსეთის ლომად“ წოდებული აბას პირველი და XVII საუკუნის დასაწყისში მთელს აღმოსავლეშთი აღიარებული სარდალი გიორგი სააკაძე.

X X X

ლუარსაბ II მეფობდა 1606-1614 წლებში. ის 14 წლის ავიდა ტახტზე, როდესაც მამამისი — გიორგი X შაპ-აბასის თბილისში ყოფნისას უეცრად გარდაიცვალა. გაჩნდა აზრი, რომ ის შაპმა მოაწამვლინა. ლუარსაბი გარეგნულად ლამაზი, ჭეშმარიტი ქრისტიანი და გულთბილი ადამიანი იყო. მის ნაკლად მალემრწმენობასა და მერყევ ხასიათს მიიჩნევდნენ ოპონენტები, თუმცა, ტყვეობაში მყოფმა, სპარსულ ციხე-გულაბში რამდენიმე წელს გამოკეტილმა, არნახული სიმტკიცე და ზნეობრივი სრულყოფილება გამოავლინა.

ლუარსაბ II-ს ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძის და, რომელიც ძალიან მოეწონა და შეუყვარდა, მაგრამ თავადებმა იუკადრისეს „აზნაური“ დედოფალი, მეფეს ცოლთან გაყრა მოსთხოვეს, სააკაძეს დაუპირისპირეს და მტრად გადაკიდეს, რაც მისთვის საბედისწერო შეცდომად იქცა. სააკაძესთან დაპირისპირებამ შეარყია მისი მეფური ძლიერებაც, ფეოდალებს მეფის წინააღმდეგ მოქმედება გაუადვილა, შინა-განხეთქილებამ კი მტრის წისქვილზე დაასხა წყალი, შაპ-აბასმა უფრო წარმარტებით შეძლო თავისი ანტიქართული პოლიტიკის გატარება.

შაპ-აბასის ინტრიგები ლუარსაბ II-ს მთელი მეფობის მანძილზე უშლიდა ხელს მოეგვარებინა საშინაო პრობლემები, ირანთან ურთიერთობა. მან სცადა გამოეყენებია ქართველ მეფეთა მეგობრობა, იმერეთის მეფის, — გიორგი III-ისა და კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მოკავშირეობით შაპთან დაპირისპირება. მითუმეტეს, თეიმურაზს მისი და, ხორშანი ჰყავდა მეორე ცოლად. შაპისაგან შერისხული სიძე-ცოლისძმა ერთხანს იმერეთშიც გადავიდნენ, მაგრამ შაპმა შეძლო მოღალატე თავადების მოსყიდვა, მათი საშუალებით და საკუთარი ცბიერებით, ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა და სპარსეთში წაყვანა, იქ დატყვევება. დიდი ტანჯვა-წამება გადაიტანა ციხეში, მაგრამ არ გატეხილა, არც სარწმუნოება შეუცვლია, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი. ლუარსაბი მშვილდის საბლით ჩამოახრჩეს 1622 წელს. მისი და — ლელა, რომელიც შაპის ცოლი იყო, იმავე დღეს განუტევა ცოლობიდან შაპმა და ფეიქარ-ხანს გამოაყოლა, კახეთის ასაოხრებლად რომ მოდიოდა.

X X X

გიორგი სააკაძე დაიბადა 1580 წელს, აზნაურ სიაუშ სააკაძისა და თამარ ბარათაშვილის ოჯახში. სააკაძის მამული მდებარეობდა ქართლში, სოფელ ნოსტეში, სააკაძეთა საგვარეულო მონასტერი იყო ერთაწმინდა. სააკაძეს კარგი განათლება მიუღია. იცოდა სპარსული და თურქული ენები. იგი სიმონ I-თან ერთად ებრძოდა ოსმალებს, იყო ქართლის მეფის — გიორგი X-ის ერთგული თანამებრძოლი. თავისი დიდი ნიჭით და სამხედრო ოსტატობით განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა ლუარსაბ II-ის კარზე. ხალხმა მას

„დიდი მოურავი“-ც უწოდა. პირადმა ლირსებებმა და ნიჭმა განაპირობა გიორგი სააკაძის არნახული პოპულარობა. 1609 წელს, ტაშისკარის ბრძოლაში, მან სასტიკად დაამარცხა ოსმალო დამპყრობლები და გამოჩენილი მხედრული მამაცობით კიდევ უფრო გაითქვა სახელი. კიდევ უფრო ამაღლდა, როდესაც ლუარსაბ II-მ მის დაზე იქორწინა. ქორწინება უიღბლო გამოდგა: დედოფალი მალე გამოდევნეს სასახლიდან ქართლელმა დიდებულებმა, შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით, მათვე განაწყვეს მეფე სააკაძის წინააღმდეგ, ჩააგონეს მისი მტრობა და ლალატი, წააქეზეს მის მოსაკლავად. სააკაძემ ძლივს გაასწრო სასჯელს, ოჯახთან ერთად, სპარსეთში გადაიხვეწა.

შაპის კარზე მყოფი დიდი სარდალი მალე გახდა ცნობილი სპარსეთშიც, შაპ-აბასსა და მის მხედრობას მან სახელი მოუხვეჭა ომებში; მაგრამ სამწუხაროდ, სპარსელების მიერ ქართლსა და კახეთში ჩადენილი მრავალი დანაშაული, რომელიც მათ XVII საუკუნის 10-იანი-20-იანი წლების დასაწყისში ჩაიდინეს, სააკაძესაც ბრალდებოდა. მას, მართლაც სძულდა ლუარსაბ II, ჩააგონებდა შაპს, რომ მისი სიკვდილი დაალაგებდა ქართლში ვითარებას; ამას პირადი სიძულვილი და შურისძიების გრძნობა აკეთებინებდა, რაც ხშირად, საქართველოსთვის დიდი ზიანის მოტანი იყო.

როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის კრიტიკული ჟამი დადგა, სააკაძემ უღალატა შაპ-აბასს, გაწირა შვილი, ახლობლები, საკუთარი თავი საფრთხეში ჩაგდო, დიდი გმირობა გამოიჩინა და მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებით საქართველო იხსნა. ბევრი იბრძოლა, მაგრამ მის ბრძოლას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომაც მისი ცხოვრება უფრო ტრაგიკული გახადა, – 1626 წელს, ბაზალეთთან ქართველი სარდალი სააკაძე თავისი მომხრე ქართველებით, მეფე თეიმურაზ I-ს და მის მომხრეებს იარაღით დაუპირისპირდა. სააკაძე დაამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა. იქაც თავი გამოიჩინა, მაგრამ შურმა და ეჭვმა იქაც დაამარცხა: 1629 წელს იგი მოკლეს შვილთან, ავთანდილთან ერთად. თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა მასზე დანანებით წერდა, აღწერდა მის დასჯას და უსამართლობად თვლიდა ასეთი დიდი სარდლის საიკვდილოდ გამეტებას.

X X X

თეიმურაზ I იყო კახეთის მეფე, პოეტი და მწიგნობარი. ის 1606-1660 წლებში მეფობდა, თუმცა, დროგამოშვებით იძულებული იყო, სამეფო ტახტი დაეთმო და ლტოლვილობაში გადასულიყო.

თეიმურაზ I-ს, გიორგი სააკაძის მსგავსად, ისტორიკოსები როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად აფასებენ. მის მოღვაწეობას აკრიტიკებდა ზოგიერთი ქართველი მწერალიც. მეფე არჩილის აზრით, თეიმურაზი უფრო დიდ დროს ანდომებდა ნადიმობასა და ნადირობას, რისი შედეგიც იყო შაპ-

აბასის ჯართან ქართველთა მარცხი. ირანთან ომში კახეთის მოუმზადებლობას აღნიშნავს შაპ-აბასის მეისტორიე ისქანდერ მუნშიც. თეიმურაზის შეცდომად ზოგიერთი ქართველი მოღვაწე თვლიდა გიორგი სააკაძესთან მის განხეთქილებასა და ბაზალეთის ომს.

თეიმურაზი არ იყო სწორხაზოვნად დადებითი ან უარყოფითი პიროვნება. ის უფრო ტრაგიკული ისტორიული ფიგურაა. მას მოუკლეს დედა და შვილები – ორი ვაჟი საპარსეთის ტყვეობაში დაეღუპა, მესამე კი – შაპ-აბასის ჯართან ბრძოლაში, 1647 წელს. თეიმურაზი იძულებული იყო, მცირეწლოვანი შვილიშვილი და რძალი რუსეთის სამეფო კარზე გაეშვა გადარჩენის მიზნით, სადაც გაიზარდა ერეკლე I და, სამწუხაროდ, დაკარგა ის ქართული ზნე-ჩევეულებები და ტრადიციები, რაც ქართველ მეფებს პქონდათ. სანუკვარი ტახტის დაბრუნებისათვის, შემდეგში ის გამაპმადიანდა, სპარსელთა შაპის სრულად მორჩილი გახდა და ისე გამეფდა. ზოგიერთი მოსაზრებით, ერეკლე I-ის არაკანონიერი შვილი და თეიმურაზის შვილიშვილი იყო რუსეთის გამოჩენილი მეფე, რეფორმატორი და ძლიერი იმპერიის შემქმნელი პეტრე I.

თეიმურაზ I-ის მეფობა ტახტისათვის მუდმივ ბრძოლაში, შეცდომებსა და ამაო მცდელობებში გაილია. თუმცა, პოეტმა მეფემ თავისი კვალი დატოვა ქართულ კლასიკურ პოეზიაში. მის კალამს ეკუთვნის „ქეთევანიანი“, „ვარდბულბულიანი“ და სხვა ნაწარმოებები, სადაც იგი აღორძინების ხანის ქართული სულიერების მედროშედ გვევლინება.

თეიმურაზმა ბევრი გზა მოსინჯა კახეთის სამეფოს გადასარჩენად. მისი მიზანი იყო მამა-პაპათა მიერ დაწყებული რუსული ორიენტაციის გაღრმავება. ამისათვის იმოგზაურა კიდეც რუსეთში, XVII საუკუნის 50-იან წლებში. ამ დროს რუსეთის მეფე იყო ალექსი მიხეილის ძე რომანოვი (1645-1682 წწ.). მეფის კარზე ის უხვად დაასაჩუქრეს, მაგრამ არ მისცეს მთავარი: სამხედრო დახმარება. თეიმურაზი მიხვდა, რომ ისევ ირანის ხელში რჩებოდა, ამიტომ 1660 წელს შაპის კარზე გაემგზავრა. საბედისწერო აღმოჩნდა კახეთის მეფის და სახელოვანი პოეტის ეს ნაბიჯი. დიდი სახალხო ზეიმი იყო მისი ჩასვლა შაპის კარზე, ხალხი ისე ეგებებოდა, როგორც გამორჩეულ ადამიანს, ვინც ამდენსანს ეწინააღმდეგებოდა ირანის ტახტს, ახლა კი მორჩილად მიდიოდა ამ ტახტის მფლობელისაკენ. ირანის შაპმაც დღესასწაულად და ნადიმად აქცია მისი სტუმრობა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ თეიმურაზი შვილიშვილის, რუსეთიდან დაბრუნებული ერეკლეს ერთგული იყო, ასტრაბადის ციხეში ჩასვა და მოაკვლევინა.

X X X

სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი შაპ-აბას I ქვეყანას მართავდა 1587-1629 წლებში. მისი მეფობის დასაწყისში ირანი დასუსტებული იყო. მას ებრძოდა და სამფლობელოებს ართმევდა მეზობელი ოსმალეთის იმპერია. 1590

წელს შაჰმა ზავი დაღო ოსმალეთთან და შეუდგა რეფორმების გატარებას ირანში. ამასთანავე, დაიწყო მზადება ოსმალეთთან ომისათვის, რათა დაებრუნებინა დაკარგული პოლიტიკური ბატონობა კავკასიასა და აღმოსავლეთში.

რეფორმები გატარდა ადმინისტრაციული მმართველობის დარგში, ასევე, სამხედრო სფეროში. ყიზილბაშთა ლაშქარი 60 ათასიდან 30 ათასამდე დავიდა. შაჰის ძირითადი დასაყრდენი შეიქმნა თოფებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული კარგად გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ღულამთა 10 ათასიანი ცხენოსანი კორპუსი. ამ კორპუსს შაჰის გვარდია ეწოდებოდა. იგი ირანში აღზრდილი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველი და სომეხი ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. ამ ჯარში აღიზარდნენ გამოჩენილი სარდლები: ქართველი – ალავერდი-ხანი უნდილაძე და სომეხი – ყარჩიხა-მუხამედ ხანი. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა საქართველოში ლაშქრობებს, მოთავე იყო შაჰის მიერ შემუშავებული პროექტის – ქართლ-კახეთის ამოწყვეტისა და ამ ტერიტორიაზე ირანელი ტომების ჩამოსახლებისა. მარტყოფის ველზე ბრძოლის დაწყებისას, ის შვილთან ერთად მოკლეს ქართველებმა. ირანის არმიაში შაჰ-აბასის დროს 120 ათასი კაცი იყო. აქედან, 41 ათასი მუდმივ ჯარში იყო, 75 ათასი კი საჭიროების დროს იკრიბებოდა. სამხედრო რეფორმა ჩატარდა ქართველი ალავერდი-ხან უნდილაძის მეთაურობით, რომელსაც ეხმარებოდნენ ინგლისელი ძმები – ანტონ და რობერტ შერლები. ისინი 1598 წელს ჩავიდნენ ირანში. ამ რეფორმებით ირანი ძლიერ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1603 წელს ირანმა ომი განაახლა ოსმალეთთან, რათა დაებრუნებინა 1590 წლის ზავით დაკარგული პოზიციები. აბას I-მა ომის პირველივე წელს მოიპოვა გამარჯვებები. მას ეხმარებოდნენ ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექსანდრე II. გიორგი მეფისგან შაჰმა მოითხოვა ლორეს პროვინცია და დებედას ხეობა, სადაც ირანული ტომები – „ბორჩალუ“ გადმოასახლა. ამით ხელთ იგდო ქართლის სტრატეგიული ტერიტორია. კახეთის მეფეს წაართვა კაპუნისელის პროვინცია, სადაც მმართველად გამაჰმადიანებული და რენეგატი* კახელი თავადი დანიშნა. ადგილობრივი ქართველები აქ ძალით გაამაჰმადიანეს და მათ შემდგომში „ინგილოები“ – ახლად მოქცეულები ეწოდათ.

შაჰს აღიზიანებდა არა მარტო ოსმალეთის მეტოქეობა, არამედ რუსეთიც, რომელთანაც ქართველ მეფეებს კავშირი ჰქონდათ. ამ მიზეზით, მან კახეთის მეფე ალექსანდრე გამაჰმადიანებულ შვილს – კონსტანტინე-მირზას, 1605 წლის 12 მარტს, ძეგამში, რუს ელჩებთან შეხვედრისას მოაკვლევინა.

კახეთში დაიწყო აჯანყება, რომელსაც მეფეს რძალი – ქეთევანი ჩაუდგა სათავეში. კონსტანტინე, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ ტახტი მიიტაცა, კახელებმა მოკლეს. 1606 წელს შაჰი იძულებული გახდა, კახეთში მეფედ დაესვა ალექსანდრეს შვილიშვილი და ქეთევანის ვაჟი – თემურაზი.

ირანის შაჰს ორივე ქართველ მეფესთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართველ მეფეებს იგი სძულდათ და ცდილობდნენ

ირანის უღლისაგან გათავისუფლებას. ამისათვის ისინი რუსეთთან აწარმოებდნენ ფარულ მოლაპარაკებებს და ჩრდილოეთის დახმარებით სურდათ ირანისაგან თავის დახსნა. ლუარსაბ II და თეიმურაზ I ხან ემსახურებოდნენ შაჰს, ხანაც ეურჩებოდნენ. 1612 წლის ზაფხულში ქართველები არ გამოცხადდნენ შაჰთან მაზანდარანში, სადაც ნადირობის საბაბით მიიწვიეს. ეს აჯანყებას უდრიდა. დაიწყო ანტიირანული მოძრაობა, რომელშიც გაერთიანდნენ ქართველი მეფე-თავადები. ამ დროს უკვე შაჰ-აბასის კარზე იმყოფებოდა გიორგი სააკაძე.

1613 წლის 16 ოქტომბერს შაჰი ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა, ამასთან, მან წინასწარ ხმა გაავრცელა, ოსმალეთისკენ მივდივარო. ქართველებმა ყურადღება მოადუნეს; ოსმალეთთან დროებითი ზავი სულ ახალი დადებული იყო (1612წ.), ამიტომ შაჰ-აბასმა სულთანს ჩუმად აცნობა, რომ საქართველოში მიდიოდა. აბას I ჯერ განჯაში, 1614 წლის გაზაფხულზე კი კახეთში შემოიჭრა. შაჰმა თეიმურაზს წინასწარ მძევლები გამოართვა: დედა და უფროსი ვაჟები. აბასმა ისინი ირანში გაგზავნა.

შეტაკებაში, რომელიც ჯერ ქიზიყში, შემდეგ მუხრანში მოხდა, ქართველები დამარცხდნენ. ქართლისა და კახეთის მეფეები იმერეთში გადავიდნენ.

შაჰ-აბასმა რამდენჯერმე ააოხრა ქართლ-კახეთი, აყარა მოსახლეობა და ირანში – ფერეიდანში გადაასახლა. შაჰმა ტყვედ ჩაიგდო ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც 1622 წელს ირანში, მისი ბრძანებით დაახრჩვეს. 1624 წელს შირაზში წამებით მოკლეს ქეთევან დედოფალი, მანამადე კი მისი შვილიშვილები: ლევანი და ალექსანდრე დაიღუპნენ.

1625 წელს ირანის შაჰმა, საქართველოს სრული მოსპობის მიზნით, დიდი ჯარი გამოგზავნა, მაგრამ დიდი ზარალიც ნახა მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებში.

შაჰ-აბასი, რომელიც ძლევამოსილი მბრძანებელი იყო და „ირანის ლომად“ იწოდებოდა, საქართველოს წინააღმდეგობამ საგრძნობლად დაასუსტა. მან საოცარი ინტრიგებით დაუპირისპირა ერთმანეთს ქართველი დიდებულები, უამრავი ქართველი მოკლეს მისი ბრძანებით, უამრავი გაასახლეს, გაამატებიანეს, დაასახიჩრეს და დაიმონეს. მის დროს ირანის სახელმწიფომ დაიბრუნა დაკარგული დიდება.

შაჰ-აბასი იყო დაუნდობელი, სასტიკი სისხლისმელი, მაგრამ თავისი ქვეყნის ნიჭიერი მმართველი და ორგანიზატორი. მან იცოდა ქართული, სომხური, თურქული და სხვა ენები. ქართველებს დიდი ადგილი ეჭირათ მის კარზე. როგორც ყველა ირანის შაჰის, ასევე მის ჰარამხანაშიც ბევრი ქართველი, დიდებულთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდა ქალი იმყოფებოდა.

შაჰ-აბასი 1629 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. არსებობს აზრი, რომ ის მოწამლეს.

მარტყოფისა და მარაბდის ომების უდიდესი მნიშვნელობა რომ გავიაზროთ, აუცილებლად უნდა გადავავლოთ თვალი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას XVII საუკუნის დასაწყისში, აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ამ დიდი საომარი ბატალიების ფონი.

ქართლში, 1556-1600 წლებში, სვიმონ I მეფობდა. იგი გამორჩეული იყო უშიშრობით, თავგანწირვითა და მეომრული ნიჭიერებით. მან მთელი სიცოცხლე ომებში გაატარა – ხან სპარსეთს ებრძოდა, ხანაც – ოსმალეთს. მართალია, ამასის ზავის* შემდეგ (1555წ.) ამ ორმა ქვეყანამ საქართველო შუაზე გაიყო, მაგრამ სპარსეთთან შედარებით, ძლიერი ოსმალეთი არ სჯერდებოდა დასავლეთ საქართველოსა და სამცხის ნაწილს, XVII საუკუნის დასაწყისისათვის იგი მთელ ამიერკავკასიაში გაბატონდა. 1600 წელს სიმონ I ნახიდურთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და ოსმალეთის ციხე – იედიფულები დალია სული. ქართლში მისი ვაჟი გიორგი X გამეფდა (1600-1606წწ.). კახეთში ამ დროს ალექსანდრე II მეფობდა, რომელიც 1605 წელს საკუთარმა შვილმა, გამაპმადიანებულმა კონსტანტინემ, შაპ-აბასის მითითებით მოკლა. მკვლელობის მიზეზი, ძირითადად, ის იყო, რომ კახეთი ინტენსიურ დიპლომატიურ ურთიერთობებს აწარმოებდა რუსეთთან, რაც ირანს ძალზე აღიზიანებდა. კახეთის მეფეს შაპმა დაუპირისპირა საკუთარი ვაჟი, რომელიც აღრეული ბავშვობის ასაკიდან სპარსეთის სამეფო კარზე იზრდებოდა, იყო მაპმადიანი და შაპის ინტერესების დამცველი. მამისა და მისი პოლიტიკის სიძულვილმა ჩაადენინა მას ძეგამის ტრაგედია. კონსტანტინემ დაიკავა სამეფო ტახტი, მაგრამ ცოტა ხნით. სულ მალე, იგი აჯანყებულმა კახელებმა ჩამოაგდეს და მოკლეს კიდეც. ეამბოხეებს, კონსტანტინეს უფროსი ძმის, დავით მეფის ქვრივი, ალექსანდრეს რძალი – ქეთევან დედოფლი ედგა სათავეში.

შაპ-აბასი იძულებული გახდა, ამ ამბავს შერიგებოდა და ქეთევან დედოფლის თხოვნაც შეესრულებინა: კახეთის ტახტზე მისი მცირეწლოვანი ვაჟი – თეიმურაზი დაესვა. იგი ამ დროს 16 წლის იყო; ამიტომ სამეფოს, დედამისი, ჭკვიანი და ენერგიული ქეთევანი განაგებდა.

1605 წლის 25 ოქტომბერს, ოსმალთა 100 ათასიანი არმია, სინან-ფაშას სარდლობით, ურმიის ტბასთან, სასტიკად დამარცხდა შაპ-აბასის 60-ათასიან ჯართან. ამ გამარჯვებამ ირანის შაპს საშუალება მისცა ამიერკავკასიაში შემოჭრილიყო და ამ რეგიონში ოსმალთა ბატონობისათვის ბოლო მოეღო.

1606 წლის გაზაფხულზე შაპ-აბასმა ჯერ ყარაბაღი აიღო, შემდეგ – განჯა და ქართლში შემოიჭრა. შაპმა გაანადგურა ლორეს, დმანისისა და თბილისის ოსმალური გარნიზონები. ოსმალების ნაწილი აბასის სამსახურში შევიდნენ, რადგან შაპი ორჯერ მეტ ჯამაგირს დაპირდა. ქართულ ციხეებში ირანელები ჩადგნენ, თბილისის ციხის უფროსად ყიზილბაში მუკამედ სულტან შამსედინლე დანიშნა და ნახჭევანს წავიდა. შაპის თბილისში ყოფნისას მოულოდნელად გარდაიცვალა ქართლის მეფე – გიორგი X. ამბობდნენ, შაპმა

მოაწამვლინაო. მის ნაცვლად, შაპის დასტურით, ტახტი გიორგის მემკვიდრემ – 14 წლის ლუარსაბა დაიკავა.

მაშ ასე: ქართლში ლუარსაბ II გამეფდა (1606 -1614წწ.), კახეთში თეიმურაზ I (1606-1660წწ.). ორივე ქრისტიანი, ირანის ბატონობის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი ქართველი პატრიოტები იყვნენ. გამეფებიდან ერთი წლის შემდეგ, თეიმურაზი გურიელის ასულ ანაზე დაქორწინდა, რომელთანაც ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე შეეძინა, შემდეგში შაპაბასისგან განწირული ახალგაზრდები, ბებიასთან, ქეთევან დედოფალთან ერთად, ტყვეობაში რომ აღესრულნენ. ქართლის მეფის ბედიც ტრაგიკულად განვითარდა: ჯერ გიორგი სააკაბის დაზე დაქორწინებით ამხედრა ერთგული თავადები. ბოლოს ქორწინება გააუქმა და გიორგი სააკაბესთანაც მტრობა შეექმნა. შემდეგში, ამ დაპირისპირებას შეეწირა არა მარტო ლუარსაბის სიცოცხლე, არამედ გიორგი სააკაბის ავტორიტეტიც. საქართველოში მას ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდნენ და ლუარსაბის მკვლელად მიიჩნევდნენ.

ქართლიც და კახეთიც ირანის ვასალები იყვნენ, მათ სამხედრო ბეგარა ეკისრებოდათ: დამპყრობლის ომებში ჯარი უნდა გაეყვანათ. ქართლიდან წასული შაპი შემახას ციხეს მიადგა და თეიმურაზს შემოუთვალა ჯარით მასთან გამოცხადებულიყო. თეიმურაზმა ეს არ გააკეთა. განმეორებითაც დაიბარა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო. თეიმურაზის ნაცვლად, დედამისი, ქეთევან დედოფალი ეახლა შაპს ათასკაციანი რაზმით. შაპმა წყენა არ შეიმჩნია, დედოფალი პატივით მიიღო, ქართველთა ჯარი კი არ გამოიყენა. მან თავისი ძალებით აიღო შემახას ციხე.

1612 წლის 20 ნოემბერს ქალაქ სტამბულში დაიდო ზავი ირანოსმალეთს შორის. აღდგა ამასის ზავის პირობები: დასავლეთ საქართველო ოსმალეთს დარჩა, აღმოსავლეთ საქართველო – ირანს. აღმოსავლეთი სამცხე, ქალაქ ახალციხით, რომელიც ამასის ზავით ირანს ეკუთვნოდა, ოსმალეთის მფლობელობაში მოექცა, რადგან 1612 წლისთვის იგი უკვე ოსმალებს ეპყრათ.

1610 წელს შაპმა აზერბაიჯანში ლუარსაბი და თეიმურაზი მიიწვია, სანადიროდ და სამეჯლისოდ. აბას I-ს ორივენი ეახლენ დიდი ამალით და ექვსი თვე დარჩნენ მასთან. ამ სტუმრობისას, შაპმა ლუარსაბ II-ს თბილისის ციხე დაუბრუნა. ამ მოლაპარაკებაში დიდი წვლილი ჰქონდა გიორგი სააკაბეს, ლუარსაბის კარზე მოღვაწე რჩეულ მოხელესა და სარდალს, რომელსაც უკვე დიდი სახელი ჰქონდა, ტაშისკარის ბრძოლაში მოპოვებული დიდი გამარჯვებისა და ოსმალების განადგურებისათვის. ამავე წელს, თეიმურაზის მეუღლე ანა მოულოდნელად გარდაიცვალა, მეორე ცოლად მან ლუარსაბის და – ხორშანი შეირთო. შაპს ლუარსაბისა და თეიმურაზის დებიც ჰყავდა ცოლად. ასე რომ, ამ სამი პიროვნების ბედი ერთმანეთს მოყვრული ურთიერთობითაც გადაჯაჭვოდა. თუმცა არც შაპი აპირებდა თავისი მრავალრიცხოვანი პარამხანის გამო საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დათმობას და არც ქართველი მეფეები აპირებდნენ უკანდაზევას თავიანთი სამეფოების და ქართველობის გადასარჩენად ბრძოლაში. შაპმაც კარგად იცოდა ქართველთა განწყობა მის მიმართ. ამიტომ,

1614 წელს თეიმურაზი გააფრთხილა – ოსმალეთს უნდა შევებრძოლო და თუ ჩემი ერთგული ხარ, შვილი გამომიგზავნე მძღვლადო. დარბაზის გადაწყვეტილებით, კახეთის მეფემ დედა და უმცროსი ვაჟი – 3 წლის ალექსანდრე გაგზავნა განჯას, სადაც შაპი იდგა; თან სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე გააყოლა. შაპმა უფროსი ვაჟი მოითხოვა. თეიმურაზი იძულებული გახდა, ისიც გაეგზავნა. ესეც არ იკარა სპარსეთის მბრძანებელმა, ახლა თავად მეფეს მოსთხოვა მის წინაშე გამოცხადება. მეფე და კახელი თავადები მიხვდნენ, შაპ-აბასს მთელი სამეფო ოჯახის ამოწყვეტა რომ ჩაეფიქრებინა. თეიმურაზმა ლუარსაბ მეფეს შეატყობინა, შაპ-აბასი მოდის საქართველოს ასაოხრებლად და თან შენი მოსისხლე სააკაძე მოჰყვებაო. ქართველი მეფეები ერთობლივი ომისთვის მოემზადნენ. ეს ამბოხება იყო, რასაც შაპი არ მოითმენდა და ასეც მოხდა. იგი ლაშქარს თავად ჩაუდგა სათავეში და საქართველოსკენ გამოემართა. ვერაგ დამპყრობელს გიორგი სააკაძეც ედგა გვერდით. ლუასაბი და თეიმურაზი იმერეთში გადავიდნენ, ისინი იმერეთის მეფემ შეითარა, მაგრამ ირანის შაპმა ლუარასაბი მოტყუებით ხელთ იგდო, სპარსეთში წაიყვანა და გულაბის ციხეში გამოკეტა. მართალია, თეიმურაზი კი ვერ მოიგდო ხელთ, მაგრამ კახეთი ააოხრა. შაპი ცდილობდა კახეთი და ქართლი მთლიანად ისლამზე მოექცია, ურჩი მოსახლეობა აეყარა და სპარსეთში გადაესახლებინა. ქართლი ლუარსაბის გამაპმადიანებულ ნათესავს, – ბაგრატ ხანს ჩააბარა და მრჩევლად სააკაძე დაუნიშნა. კახეთში თეიმურაზის ბიძაშვილი – გამაპმადიანებული იქსე, იგივე ისახანი დასვა. ისახანის მრჩევლებად შაპმა დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე დაადგინა.

შაპ-აბასი კახეთში ორმოცდათი დღე დარჩა და გაუწონასწორებელი ხასიათიდან გამომდინარე, ხან მეგობრობას ეფიცენტოდა აქაურ მოსახლეობასა და თავადებს, ხანაც თავის მებრძოლებს დაუნდობლად აძარცვინებდა.

სომეხი ავტორი არაქელ თავრიზელი მოგვითხრობს: „კახეთში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც ენა იტყვის და ვერც კალამი აღწერს. გონებით მოისახრე და გაიგებთ, თუ რამდენი გაუტეხელი ქრისტიანი მახვილით დააშავეს, დაჭრეს ან დახოცეს, უაღნაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხყვეს, ქონება და სიმდიდრე მიიტაცეს. ნაშენები ყოველი ცეცხლს მისცეს და დანგრიეს, ეკლესიები დააქციეს, საკურთხევლები, ჯვრები და ხატები დაამხეს, დატყვევებულნი ბანაკში წაათრიეს და ნაირ-ნაირი სატანჯველით ტანჯავდნენ: სიცივითა და სიშიშვლით, შიმშილითა და წყურვილით და სხვა მრავალი ხერხით“.

მერე ვერაგმა შაპმა „შაპისევანობა“ გამოიგონა. აბასმა ბრძანება გასცა, რომ ვინც მასთან მორჩილებაში გამოცხადდებოდა, დიდ წყალობასა და პატივს უბოძებდა. ასეთი ადანიანი შაპის მეგობარი („შაპისევანი“) გახდებოდა. ბევრი გახდა „შაპისევანი“, მაგრამ საშინელი ბედი ეწია ამ ხალხს, ისინი ჯერ სპარსელების ნუსხაში შეიტანეს, მერე კი სპარსეთში გარეკეს. ასე მოტყუებით გადაასახლეს უამრავი ქართველი სამშობლოდან. ზოგიერთი მათგანი ტყვეებად

დაარიგეს, ზოგიც მიუვალ და მთიან მხარეში დაასახლეს. ფერეიდნელი ქართველების ტრაგედიაც სწორედ ამ დროს დაიწყო.

კახეთიდან შაპი ქართლში გადავიდა, შეაკეთა გორისა და სურამის ციხეები და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. ქართლს უფრო დიპლომატიურად ექცეოდა. ჯარი გააფრთხილა: მოსახლეობას მოერიდეთ, არაფრი დაუშავოთ; გახიზნულები დააბრუნა; თანაც ხმა დაარჩია — ლუარსაბი თუ არ დაბრუნდება, სააკაძეს დავსვამ მეფედო.

კახეთის ტრაგედიამ გიორგი სააკაძეს თვალნათლად აჩვენა შაპ-აბასის სახე და მიზნები. დიდი სარდალი მიხვდა დამპყრობლის მზაკვრულ ჩანაფიქრს. ისედაც კარგად იცნობდა, სპარსეთში გადახვეწამდე გრძნობდა საქართველოსადმი მის მტრულ ზრახვებს, მას შემდეგ კი, რაც ირანის კარზე მოხვდა, გიორგი სააკაძემ უფრო ღრმად შეიცნო და გაიაზრა საქართველოს ბედი, მეზობელი ქვეყნის საშინელი ზრახვები მის მიმართ. ქართლის მოსახლეობას მაინც აწყნარებდა, შაპთან შერიგება-მორიგებას სთავაზობდა, ეშინოდა — კახეთის ბედი მასაც არ გაეზიარებინა. ზოგს ისევ სძულდა, ზოგს უყვარდა. არც სიძულვილი იყო ჩვეულებივი და არც სიყვარული. ორივე ზღვარგადასული, ფანატიზმამდე იყო მისული. ასე დარჩა ისტორიაშიც: ორადგაყოფილი შეფასებით; პირველი: მტერი და მოღალატე, მეორე: გმირი და გადამრჩენი. მართალი იქნება, ვინც დაამტკიცებს ან ერთს, ან მეორეს. სააკაძე, ჩვენი აზრით, ქვეყნის მტერი და მოღალატე არასოდეს ყოფილა, საქართველო უყვარდა და საშუალება თუ მიეცემოდა, ყველანაირად იღვაწებდა მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად, თავის განწირვითაც კი. მაგრამ მას მარტო ქვეყნის სიყვარული არ ამოძრავებდა, სიძულვილიც უბიძგებდა მოქმედებისაკენ; მერე რა, რომ ეს სიძულვილი მის მტრებს ხშირად თავად ჰქონდათ დამსახურებული, ის ვერ ამაღლდა ქრისტიანული ზნეობის სრულყოფილებით, სიძულვილით კი კეთილი საქმე არ გვირგვინდება. მითუმეტეს, სამშობლოს გადამრჩენი და გმირი ვერ იქნება კაცი, ვისაც ასეთი სიძულვილი ექნება. ხშირად ხდებოდა და ხდება ჩვენში, პიროვნების სიძულვილი სახელმწიფოს საძირკველს რომ არყევს და ამას ვერ ვხვდებით. ლუარსაბ მეფისა და მისი ერთგული გარემოცვისადმი შურისძიებისა და ზიზღის გამო, შაპის გვერდით გაატარა წლები. შაპი კი უბრალო სიტყვებს არ უჯერებდა, მისგან საქმეს მოითხოვდა, რაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასაც ითვალისწინებდა. თუ ამას არ გააკეთებდა, მაშინ სხვა გზა უნდა აერჩია, სხვა ქვეყნის თავშესაფარი. ასეთი რამ კი XVII საუკუნის დასაწყისის სინამდვილეში, ქართველი სააკაძისათვის ადვილი მოსაძებნი არ იქნებოდა. ტაშისკარის გმირს ოსალეთის სულთანთან თავშეფარება გაუჭირდებოდა.

მაშ, ისევ უნა დავტოვოთ შეფასება: გაორებული პიროვნება, ტრაგიკული ადამიანი, რომლის კისერზე არის ბევრი ქართველის ცოდვა, მაგრამ მისი ქვეყნის მადლიც, რადგან მისმა ორმა ბრძოლამ — მარტყოფმა და მარაბდამ წელში გატეხა შაპის საბრძოლო სიძლიერეც და შეანელა ქართლ-კახეთის მოსპობის სურვილიც. ამან განაპირობა გიორგი სააკაძის გმირობის ხალხური

შეფასება. ერმა ის გმირად შერაცხა. მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, რომ ხალხში არცთუ პოპულარული, ზოგჯერ კი სამარცხვინოდ მიჩნეული მეფეები და მოღვაწეები, ერთი გადამწყვეტი ნაბიჯით ხდებიან არა მარტო გმირები, წმინდანებიც კი. გიორგი სააკაძეც გმირია და ამ შეფასებას ძვრას ვერ უზამს ის უამრავი ეჭვი, რომელიც მისი პიროვნების ირგვლივ ობიექტურად გაჩნდა. მაშინ, როდესაც არც ქართლის მეფეს – ლუარსაბ I-ს და არც კახეთისას – თეიმურაზ I-ს არ შეეძლოთ ხმლით და დიდი ნებისყოფით დაპირისპირებოდნენ შაპ-აბასის ასე გაძლიერებულ დამპყრობლურ მადას, გიორგი სააკაძემ შეძლო ღირსეული პასუხი გაეცა მისთვის; შაპისთვის გულიც გაეტეხა და მასში საქართველოს განადგურების სურვილიც მოესპო.

ნიჭიერი და ვერაგი იყო შაპ-აბასიც. მას გიორგი სააკაძე არა მარტო ოსმალეთის წინააღმდეგ სჭირდებოდა, არამედ შაპს უნდოდა მისი დიდი ავტორიტეტი და სამხედრო ხელოვნება საქართველოში თავისი მიზნების განხორციელებისათვის გამოეყენებია. აბას I თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სააკაძე შეურიგებელი იქნეოდა მოწინააღმდეგების მიმართ და მზადყოფნას გამოხატავდა, რათა მისთვის ენაცვალებინა საკუთარი თავიც და ქვეყანაც.

სააკაძესაც სურდა შაპის თავისი მიზნებისათვის გამოყენება: მისი სამხედრო დახმარებით პოლიტიკური მოწინააღმდეგების დათრგუნვა, ქვეყნის გაერთიანება, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა ძლიერი ხელისუფლებით.

ორივე მიხვდა, ოღონდ ცოტა გვიან, რომ შეცდნენ ერთმანეთში. ორივეს საკუთარი მიზნები ჰქონდა, რაც თანხმობაში ვერაფრით მოვიდოდა, თუ ერთის სურვილი განხორციელდებოდა, მეორე დამარცხდებოდა.

მანამდე, 1614-1618 წლებში ოთხჯერ ილაშქრა შაპმა საქართველოზე და ოთხივეჯერ თან ახლდა სააკაძე. მართალია, მას ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ შაპის გვერდით კი იდგა. იმ შაპისა, რომელმაც არნახული სისასტიკე გამოიჩინა.

1619 წლიდან ქართლის ფაქტიური გამგებელი გიორგი სააკაძე იყო. ის უვე კარგად იცნობდა შაპს, მის ანტიქართულ მიზნებს. მისი გეგმით, შაპის წინააღმდეგ ერთიანი აჯანყება უნდა მომხდარიყო, რისთვისაც საჭირო იყო როგორც იმერეთის სამეფოს დახმარება, ასევე ოსმალეთის მხარდაჭერა. სამისოდ გადადგა კიდეც ნაბიჯები. ოსმალეთთან კავშირისთვის ქალიშვილის ქმარი – სამცხის ათაბაგი ფარად-ფაშა გამოიყენა, იმერეთის მეფეს – გიორგი III-ს კი პირობა მისცა, თუ დაგვეხმარებით და გავიმარჯვებთ, შენს ვაჟს მივცემ ქართლის ტახტსო. ეს საქართველოს გაერთიანების გეგმის დასაწყისი იქნებოდა. კახეთში ვერ ჰპოვა შაპმა მყარი დასაყრდენი: 1624 წელს შირაზში, ქეთევან დედოფლის დასჯამ, არათუ გატეხა ეს კუთხე, არამედ სულიერი ძალაც შემატა მტრის წინააღმდეგ. კახეთის მმართველი ფეიქარ-ხანი გრძნობდა, როგორ დაუბრუნდნენ მიტოვებულ კერას კახელები და როგორი შურისძიების გრძნობით იყვნენ ანთებულნი ირანისადმი. მისწერა კიდეც შაპ-აბასს და გააფრთხილა კახეთის შესაძლო აჯანყების შესახებ. მეფე თეიმურაზი ამ დროს გადახვეწილი

იყო, ის დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, შემდეგ ოსმალეთს მიაშურა, რუსეთსაც სოხოვა დახმარება, მაგრამ არც ერთისგან და არც მეორისგან შველა არ ჩანდა, კახეთი კი სამართლიანობის აღდგენას, კანონიერი მეფის ტახტზე დაბრუნებას, ირანული ჯარის გაყრას და მშვიდობის დამყარებას ესწრაფვოდა. ამ მშვიდობას ომი სჭირდებოდა. ფეიქარ-ხამა მეორედ მისწერა შაპს – ათიათასი მებრძოლის გამოყვანა შეუძლია კახეთს, თუ აჯანყდნენ, გაგვიჭირდება დამორჩილებაო. ქართლიდანაც საეჭვო ამბები მიდიოდა შაპთან. მოღალატეები და მოენები ყველგან ჰყავდა სპარსეთის კარს. შაპ-აბასმა საქართველოში გამოსაგზვნი დიდი ლაშქრის შეგროვება დაიწყო. 1624 წლის ბოლოს თავისთან გამოიძახა გიორგი სააკაძე და მისი ცოლისძმა – ზურაბ არაგვის ერისთავი.

საქართველოში წამოსულ ჯარს ყარჩიხა-ხანი ჩაუდგა სათავეში, შაპის პირად გვარდიაში აღზრდილი, ეროვნებით სომეხი სარდალი. მას შაპმა ჩუმად კახეთისა და ქართლის საბოლოო აოხრებისა და ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობის მიზანი დაუსახა. მრჩევლად სააკაძე დაუნიშნა, ხმამაღლა უთხრა – სააკაძის გარეშე არცერთი საქმე არ გააკეთოო, საიდუმლოდ კი გააფრთხილა, ნიშანს დაელოდე და ჩემი ბრძანების შესაბამისად იმოქმედეო.

ფრთხილმა და ცბიერმა შაპმა ქართველებს მძევლები მოსთხოვა, სააკაძის უმცროსი ვაჟი – პატა დაიტოვა თავისთან და ზურაბ ერისთავის ცოლი – ლვიძლი და გიორგი სააკაძისა.

ყარჩიხა-ხანი და მისი ჯარი თითქოსდა მშვიდობიანი მიზნით მოდიოდა: ისა-ხან ყორჩიბაშის ასული, შაპ-აბასის შვილიშვილი (ქალიშვილის ხაზით) – ჯაპან-ბანუ მოჰყავდათ, რათა სიმონ ქართლის მეფეზე დაექორწინებინათ. სპარსეთის ცნობილი ხანები, ჯარი და ამალა პატარძალს საპატიო მაყრებად მოჰყვებოდნენ.

ადრეგაზაფხული იდგა. ირანის ჯარი ქართლში მოვიდა, მუხრანს, აღაიანის ველზე დაბანაკდა. ყარჩიხა-ხანი შაპის საიდუმლო დავალების შესრულებას შეუდგა: მუხრანს მოიწვია კახეთის დიდებულები და მათი ამოწყვეტა განიზრახა. გეგმა ასეთი იყო: კახელები იარაღში ჩასხმული უნდა გამოცხადებულიყვნენ, ვითომდა სპარსეთის მომავალ ლაშქრობებში მონაწილეობისათვის. თუ სად იგეგმებოდა ლაშქრობა, მათ ჯერ არ იცოდნენ. ყარჩიხა-ხანთან გამოცხადებულებმა გაიგეს, რომ ეს სამხედრო მზადება იმერეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყარჩიხა-ხანმა მოულოდნელად გამოუცხადა ლაშქარს, რომ აღარ სჭირდებოდა კახელები, რადგან არ ენდობოდა მათ, როგორც ქრისტიანებსა და ქართველებს. გამოცხადებისათვის მადლობას უხდიდა და საჩუქარსაც გადასცემდა, ოღონდ იარაღი უნდა აეყარათ და ხანისთვის ჩაებარებინათ. საჩუქარი კი იქვე, მოშორებით მდგარ კარავში, სათითაოდ გადაეცემოდათ. კახელებმა იარაღი აიყარეს და საჩუქრებისათვის კარავს მიმართეს. აქ მათ სათითაოდ კვეთდნენ თავებს. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც სპარსეთის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი და თუ მომავალში დიდი აჯანყება იფეთქებდა, რა თქმა უნდა, ისინი ამ აჯანების სულისჩამდგმელნი იქნებოდნენ. შაპის საშინელი პოლიტიკით

უკმაყოფილო და გამწარებულ ქართველებს ასე უხდიდნენ სამაგიეროს: მოტყუებით, თვალთმაქცობით ასალმებდნენ სიცოცხლეს. რამდენიმე წნის შემდეგ, კარვის შესასვლელთან ქსოვილი ქარმა ააფრიალა და ძირს დაყრილი გვამები დაინახეს რიგში ჩამდგარმა კახელებმა. მაშინ მიხვდნენ, რატომ აყოვნებდნენ ისინი გამოსვლას და სინამდვილეში რა ხდებოდა კარავში. მათ თავს უშველეს, გზა გაიკაფეს და კახეთს მიაშურეს. ერთი ვერსია ასეთია. მეორე კი, — კახელები საერთოდ არ გამოცხადდნენ, რადგან სააკაძემ წინასწარ გააფრთხილა. შესაძლოა, ორივე ვერსია სწორი იყოს, სააკაძემ გააფრთხილა კახელები, მაგრამ ყველამ არ დაუჯერა, ნაწილი მაინც გამოცხადდა, სიმართლე შემდეგ გაიგეს. ირანელთა სარდალიც მიხვდა, რომ ამ საქმეში გიორგი სააკაძის ხელი ერია. სააკაძე გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, ის მართლაც აწარმოებდა საიდუმლო მუშაობას სპარსელთა ზურგს უკან, თანაც შაპს ერთგულად აჩვენებდა თავს. სპარსეთში დარჩენილმა მისმა ერთგულმა ემისრებმა გააგებინეს, რომ შაპი სპეციალურ წერილს უგზავნიდა ყარჩიხა-ხანს, რომლითაც საგანგებო დავალებას აძლევდა საქართველოში მყოფ ჯარს. სააკაძე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მოვლენებს და შაპის შიკრიკს სულმოუთქმელად ელოდა. წერილი შიკრიკისათვის ისე უნდა წაერთმიათ, რომ ყარჩიხა-ხანამდე გიორგისა და მის ხალხს ჩავარდნოდა ხელთ, რათა საქართველოს ბედი, უფრო სწორად, ყოფნა-არყოფნის საკითხი, ქართველებს გადაეწყვიტათ და არა სპარსელებს.

ყიზილბაშების მთავარი ჯარი მარტყოფში იდგა. აქ იყო გიორგი სააკაძეც. ვერ ისვენებდა სარდალი. წინ გაურკვეველი და მეტად საშიში პროცესები ილანდებოდა. სპარსეთში დატოვებული მძევლები, საქართვლოში შაპის არნახული ანგარიშსწორების მოლოდინი. ახლა გამოჩნდებოდა ვინ იყო: ნამდვილი მოღალატე, თუ ქვეყნისათვის თავდადებული სარდალი, რომელსაც შვილის, დის, თავისი სიცოცხლე უნდა გაეწირა.

ერთ დღესაც, ლოჭინის ხევში სანადიროდ მარტო გასული სააკაძე, იქნებ, ამ ფიქრის მორევში ტრიალებდა და ნადირობისათვის სულაც არ სცხელოდა. სააკაძემ იცოდა, ყარჩიხა-ხანი შაპის ბრძანებას რომ ელოდა. იქიდან წამოსული მაცნე ლოჭინის ხევს გამოივლიდა, ამიტომ მოუშშირა იქ ნადირობა. სპარსელებს არ უკვირდათ ნადირობაზე შეყვარებული ქართველი სარდლის ხშირი გასვლა. ამ დროს კაცი დაინახა. მხედარი სპარსელი იყო, ანდა, სპარსეთიდან მოდიოდა. იცნეს კიდეც ერთმანეთი, შაპის სასახლის კარზე ენახათ. სააკაძემ თავისთან მოიხმო, მაგრამ კაცმა ცხენს მათრახი ჰკრა და გაქცევა დააპირა. სააკაძე ამან დააეჭვა, გაეკიდა, მხედარი შეიპყრო და გაჩხრიკა. შაპის შიკრიკი აღმოჩნდა. შათირს (შაპის მაცნეს) წერილიც უნახა, წაიკითხა და გაოგნდა. შათირს იქვე მოაჭრა თავი და დამარხა. ცხადი იყო: მოვლენებს ვეღარაფერი შეაკავებდა. შაპი ყარჩიხა-ხანს კახეთის ამოწყვეტასა და ქართლის აყრას უბრძანებდა, სააკაძის მოჭრილ თავსაც სთხოვდა.

აჯანყება მანამ უნდა დაწყებულიყო, სანამ ყიზილბაშები და მათი სარდალი შაპის ბრძანებას მიიღებდნენ ან ვინმე გააფრთხილებდათ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ბანაკში დაბრუნებულმა სააკაძემ არ გაამჟღავნა

თავისი გრძნობები, არაფერი შეიმჩნია და ისე მკაცრად დაუწყო დარიგება ყარჩიხა-ხანს, თითქოს საქართველოს დასჯა, ქართველების ამოწყვეტა მას არანაკლებ სწყუროდა და ეჩქარებოდა, ვიდრე ყიზილბაშ ხანებს.

მრჩეველი იყო სააკაძე ყარჩიხა-ხანისა და ურჩია: შენი ჯარები კახეთის სხვადასხვა კუთხეში დაგზავნე, რომ აჯანყების საფრხე ავიცილოთო. დაიჯერა ხანმა და გაგზავნა. ამით თავისი ძალები დაქსაქსა და სააკაძეს დასახული ამოცანის შესრულებაში დაეხმარა.

მოურავმა მეორე რჩევაც მისცა, არანაკლებ მომგებიანი თავისთვის: ქართლის თავადები შეკრიბე და შაპის ბრძანების შესრულების შესახებ მოელაპარაკეო, ქართლის მოსახლეობა მოამზადონ ასაყრელად და სპარსეთში გადასასახლებლადო. ყარჩიხა-ხანმა ესეც გააკეთა. სამაგიეროდ, სააკაძემ ერთად შეკრებილ ქართველ თავადებს საიდუმლოდ გაანდო შაპის ნამდვილი განზრახვა და შიკრიკისთვის წართმეული წერილი წაკითხა. ამ საიდუმლო თათბირზე მოხვედრილმა თავადებმა საბოლოოდ იწამეს მისი, რადგან თვალნათლივ იხილეს შაპის საშინელი განზრახვა და სააკაძის გულწრფელობა. ამავე თათბირზე შედგა აჯანყების გეგმა. მტერს ვერ უნდა ეგრძნო სააკაძის ღალატი, ამიტომ, დრომდე დარჩებოდა სპარსელთა ბანაკში გიორგი სააკაძე, მას ნიშანს მისცემდნენ ის თავადები, რომლებიც ჯარს შეკრებდნენ და დანიშნულ დროს დათქმულ ადგილზე მოვიდოდნენ. სააკაძე ბანაკის შიგნით იმოქმედებდა და ისე დაეხმარებოდა ქართველებს. შეთქმულებმა ერთგულების ფიცი დადეს, წინასწარ გაატარეს ზოგი ისეთი ღონისძიება, რაც გაუადვილებდათ მოქმედებას. მაგალითად, ჩამოიშორეს ანდუყაფარ ამილახვარი, რომელსაც ვერ ენდობოდნენ, რადგან გამაპმადიანებულიც იყო და ცოლადაც შაპის ნათესავი – ყორჩიბაშის ასული ჰყავდა, სიმონ მეფის ცოლისდა. ანდუყაფარი საფურცლის ჭალაში შეიპყრეს, ცოლშვილიანად თერგის ხეობაში წაიყვანეს და არშის ციხეში გამოამწყვდიეს.

სპარსელთა ბანაკში გიორგი სააკაძესთან ერთად, სხვა ქართველებიც იმყოფებოდნენ: გიორგის ვაჟი – ავთანდილი, თავადები – ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე, სააკაძის განუყრელი მსახური პაპუნა ვაშაყაშვილი. ყველა ესენი უბადლო მეომრები და შეუდარებლად მამაცი ადამიანები იყვნენ. სააკაძეს ისინიც დაეხმარებოდნენ ბანაკში დაწყებულ ბრძოლაში. მუხრანიდან სპარსეთის ჯარმა ადგილი მოინაცვლა და მარტყოფის ველზე დაბანაკდა. სწორდ აქ მოხდა ბრძოლა 1625 წლის 25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს), ხარება დღეს. მარტყოფის ბრძოლა საქართველოს ისტორიის გამორჩეულ მოვლენად იქცა.

იმ ღამით ყარჩიხა-ხანი მთავარსარდლის ბანაკში ისვენებდა, მისი ვაჟი – იმამვერდი ბეგიც მასთან იყო. მარტყოფის ველი მდუმარებას მოეცვა. სპარსელთა ბანაკში მყოფ 30 ათას ყიზილბაშ მეომარს მშვიდად ეძინა. ბანაკში სულ ხუთი ქართველი იყო და მათ გარეთაც არავინ უშვებდა, რადგან სააკაძეს ვერ ენდობოდნენ და გარედან უფრო დიდ საფრთხეს იგრძნობდნენ, თუკი ის თავისუფლად იმოძრავებდა მის ქვეყანაში, ვიდრე ბანაკში – 30 ათასი ყიზილბაშის გვერდით. სამაგიეროდ, ბანაკს გარეთ სააკაძის ცოლისძმა, ზურაბ

ერისთავი დათარეშობდა, ომში იწვევდა ხალხს, ქართულ ლაშქარს კრებდა, მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა სისხლის დასანთხევად. ალბათ, საერთო სიმშვიდეში მხოლოდ ქართველები ვერ დაიძინებდნენ, რადგან მათ იცოდნენ, რა მოჰყვებოდა განთიადს, მათი გულები გამალებით ცემდა ყიზილბაშებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის უამს. უბრალო მისია ხომ არ ჰქონდათ: ამ ხუთეულს – გიორგი სააკაძეს, ავთანდილს, პაატა ხერხეულიძეს, ელია დიასამიძეს და პაპუნა ვაშაყაშვილს; შიგნიდან უნა ემოქმედათ და მათზე გადატყდებოდა ომის დასაწყისში აელვებული მახვილი. ან გაიმარჯვებდნენ, ან – ვერა. ისინი მზად იყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლო შებმისათვის. ღელავდნენ და ელოდნენ ცისკარს, რომელსაც სისხლის წვიმა უნდა მოჰყოლოდა.

ცისკარიც დადგა.

გამაყრუებელმა ხმამ, ჯარის ყიუინამ და იარაღის ჩხარუნმა შეძრა მყუდროებაში ჩაძირული მარტყოფის ველი. ეს ქართველთა ჯარი მოადგა ყიზილბაშთა ბანაკს ზურაბ ერისთავის სარდლობით. დაბნეული სპარსელები წამოხტნენ და შეშინებული კითხულობდნენ, რა მოხდა. ყარჩიხა-ხანიც გამოიჭრა კარვიდან და სარდლები იხმო. ყველანი მივიღნენ, მათ შორის სააკაძეც. თორმეტი ხანი სახელდახელოდ გამზადებულიყო საბრძოლველად. გაკვირვებული შესცეკროდნენ და ბრძანებას ელოდნენ ყარჩიხა-ხანისაგან შაჰის ერთგული ხანები: მოჰამედ ყული-ხანი, ზიად-ოლლი და სხვანი. ყარჩიხა-ხანი ინსტინქტურად ხვდებოდა სიმართლეს და გიორგი სააკაძეს შეჰვირა, ჩქარა ჩამობრძანდი ცხენიდან და თქვი, რა ხდებაო. სააკაძემ უფრო მშვდად უთხრა: მე კი არა, შენც ცხენზე შეჯექი და ჯარს მიხედე, მგონი თეიმურაზი მოდის თავისი ჯარითო. ცხენს მოახტა ყარჩიხა-ხანი, მაგრამ უზანგში ერთი ფეხი რომ გაჰყო, მეორე აღარ დასცალდა, სააკაძემ შუბი აძგერა და ცხენი და კაცი ერთად მოკლა. მისმა ვაჟმა, ავთანდილმა ყარჩიხა-ხანის შვილი – იმამვერდი-ბეგი გამოასალმა სიცოცხლეს. სააკაძის მხლებლებმა, სიმცირის მიუხედავად, უმეთაუროდ დარჩენილ, დაბნეულ და შეშინებულ სპარსთა ჯარს მუსრი გაავლეს. სპარსი მთავარსარდლებიც ხმლით თავგაჩეხილები დაცვივდნენ ძირს. პირველი შეტევის გმირები სწორედ სააკაძის მხლებელი ოთხული იყო. სააკაძემ იუსუფ-ხანსაც გააგდებინა თავი. რამდენიმე წუთში სპარსელთა ურდოს აღარც ერთი სარდალი აღარ ჰყავდა ცოცხალი, ქართველები უწყალოდ ულეტდნენ მომხდურთ. ყველაფრისათვის იძიებდნენ შურს, რაც ოდითგან დატეხოდა თავს ჩვენს ქვეყანას მაზდეანური თუ მაჰმადიანური სპარსეთისაგან. მთელი დღე მისდევდნენ ქართველი მეომრები გაქცეულ მტერს და ხოცავდნენ.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, სპარსელთა 30-ათასიანი ჯარიდან, მხოლოდ სამი ათასმა ყიზილბაშმა უშველა თავს გაქცევით, დანარჩენები ქართველებმა აკუწეს. მათ მტრის დიდალი იარაღი და ქონება ჩაიგდეს ხელში.

სააკაძემ სულის მოთქმის საშუალება არ მისცა სპარსელებს. ქართველები არაჩეულებრივ სიმამაცეს იჩენდნენ, შურს იძიებდნენ მტრებზე დიდი ხნის უღლისა და წამებისათვის. სააკაძეს ომის წინ თეიმურაზთანაც ჰქონდა კავშირი დმყარებული, კახელები მეფის გარეშე შეუერთდნენ მას, მეფე კი, დასავლეთ

საართველოში იყო, გონიოს ციხეში. უფრო სწორად, ოსმალეთში. ახლა ერთიანი საქართველოს ძლიერი სული და მარჯვენა მუსრავდა მტერს. მარტყოფი სულიერად და ფიზიკურად შეკრული, ღვთიური ძალით აღზევებული ქართველების გამარჯვების დღესასწაულად იქცა.

სააკაძემ სპარსელებისაგან ქართველთა სრული გათავისუფლების გეგმა შეადგინა (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მის დროშიც და ახლაც, ბევრი პიქრობს, რომ სააკაძის მთავარი მამოძრავებელი, პირადული მოტივები იყო). ის სპარსეთის ბატონობას და სიმონ ხანის მეფობას მიუღებლად აცხადებდა. ხალხიც, მარტყოფის გამარჯვებით აღფრთოვანებული, მის აზრს მისდევდა და ეთანხმებოდა. მოურავმა ცოლისძმა, ზურაბ ერისთავი კახეთში გაგზავნა, ფეიქარ-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად; თვითონ თბილისისაკენ გაემართა, სადაც სიმონ მეფე და მისი მცველი სპარსელთა ლაშქარი იდგა, სწრაფად დაიკავა დედაქალაქი და მის ციხეს აღყაშებული მეფის აღმოარტყა. სიმონ მეფე ჯერ აღჯაყალას, შემდეგ კი შაპთან გაიქცა. სააკაძე კახეთისკენ დაიძრა, რათა იქ მყოფ ზურაბ არაგვის ერისთავს შეერთებოდა. სააკაძემ და ქართულმა ჯარმა კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები ამოწყვიტა, აიღეს ფეიქარ-ხანის ყოფილი რეზიდენცია – ხორნაბუჯის ციხე. დამარცხებულმა ხანმა კახეთიდან ოჯახიანად გაქცევა და თავის გადარჩენა შეძლო. გიორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ფეიქარ-ხანს ბარდავამდე მისდიეს, განჯა-ყარაბაღი აიღეს და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ.

ფეიქარ-ხანს, როდესაც კახეთის დასარბევად გზავნიდა, შაპ-აბასმა თავისი „ცოლი“ შერთო – ლუარსაბ II-ის და ლელა-თინათინი, რომელიც მმის გამო დასაჯა ასე. 1622 წელს, როდესაც ლუარსაბი ასტრაბადის ციხეში თოკით მოახრჩეს, არც ქართლის ხსენება უნდოდა შაპ-აბასს და არც ლუარსაბის რომელიმე მოკეთისა. ცოლიც განუტევა და კოჭლ, მახინჯ, კახეთის ასაოხრებლად გამოგზავნილ ფეიქარ-ხანს გამოატანა. ქალისთვის ეს სასჯელი უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი დამცირება. მას საკუთარი სამშობლოს დამაქცევარისათვის ცოლობაც უნდა გაეწია და მეგზურობაც, კახეთის დედოფალი კი მისი და, თეიმურაზის მეუღლე, ხორეშანი იყო. მეფის ოჯახს პირველ რიგში ელოდა აწიოკება და მრისხანე სამსჯავრო. სააკაძეს სურდა დაეხსნა ლელა და ცოლისძმისთვის მიეცა, რადგან მისი მეუღლე სპარსეთში შაპმა დაიტოვა და მარტყოფის შემდეგ მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო. ყიზილბაშმა გაასწრო ზურაბ ერისთავს, რომელიც უკან მისდევდა. სანამ იგი დაბრუნდებოდა, სააკაძემ მტკვარზე ფეიქარ-ხანისაგან დატოვებული ყიზილბაშები დაატყვევა „მრავალი ქონებით, იარაღ-მოწყობილობით, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით“. ქართველები შემობრუნდნენ და ისევ ხორნაბუჯს მიაშურეს. ციხიდან გამოვიდა სპარსელი ციხისთავი, იარაღაყრილი, გამოიტანა 50 საპალნე აბრეშუმი და, მრავალ სიმდიდრესთან ერთად მიართვა გამარჯვებულ ქართველებს.

მთელი კახეთი სააკაძის ხელში მოექცა. ქართლ-კახეთი სრულიად გაიწინდა ყიზილბაშთა ჯარისგან.

სააკაძემ სამცხეშიც გაგზავნა ლაშქარი, რათა ახალციხე ყიზილბაშთა ხელიდან გამოეგლიჯა. გონიოს ციხეში, ამ დროს ოსმალეთს რომ ეჭუთვნოდა, თეიმურაზ მეფე რუსეთს წასასვლელად ემზადებოდა. სულთნის დახმარება რომ ვერ მიიღო, ახლა რუსეთისგან ელოდა შველას. ამ დროს მოუვიდა სააკაძის მაცნე: მოურავი გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტზე დაჯდომას სთავაზობდა. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო: ქართველ პატრიოტთა ოცნებას საქართველოს გაერთიანების თაობაზე, ფრთები ესხმებოდა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იქნებოდა ამ დიდი საქმისა.

გამარჯვებული სარდალი, ფაქტიურად, ერის წინამდღვრად იქცა, მაგრამ ჭკვიანმა მეომარმა ისიც იცოდა, რომ ის ვერ იქნებოდა ქართლ-კახეთის სამეფოთა ლეგიტიმური მეთაური, ტახტი საქართველოს ყველა სამეფოში მხოლოდ ბაგრატიონებს ეპყრათ საუკუნეების მანძილზე და ეს წესი ხელშეუხებელი იყო; ამიტომ გაგზავნა შიკრიკი გონიოს ციხეში და რუსეთში წასასვლელად სამზადისში მყოფ თეიმურაზს კუთვნილი ტახტის დაკავება შეუთვალა. გახარებულმა თეიმურაზმა სამზადისი სასწრაფოდ ქართლ-კახეთში გამოსამგზავრებლად დაიწყო. ამ დროს ამოქმედდნენ მოენები. სააკაძის ირგლივ არსებული ეჭვები მარტყოფის ომმა გაფანტა, მაგრამ ხალხი, ვინც მის მიმართ უნდობლობას იჩენდა, ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა. მათ თეიმურაზს ურჩიეს, გადაედო განზრახვა, კვლავ რუსეთში გამგზავრებულიყო, რადგან ქართლ-კახეთში დაბრუნებითა და სააკაძის შეთავაზების მიღებით თავს დაიღუპავდა. სააკაძე ვერ შეეგუებოდა მის გამეფებას, რადგან თავად ჰქონდა მეფობის ამბიცია, უბრალოდ, მისი თავიდან მოშორება სურდა, როგორც კანონიერი ტახტის მფლობელისა და ეს მოწვევაც იმიტომ ჩაეფიქრებინა, რომ თეიმურაზის მოკვლა, მისი სამუდამოდ ჩამოშორება და ტახტის დაკავება სურდა.

თეიმურაზი ჯერ დაფიქრდა, შემდეგ კი, სამშობლოში დაბრუნება არჩია და მოვლენების შემდგომ განვითარებას დაელოდა. ერთი სიტყვით, თავი ბედს მიანდო და დიდი ხნის უნახავი კახეთისაკენ გაემართა. საქართველოს გულში კი კვლავ ბრძოლები მიმდინარეობდა. სააკაძე თბილისის მთავარ ციხეს უტევდა, სადაც ყიზილბაშთა ჯარი ჯერ კიდევ იდგა. გაჭირდა ამ ციხის მცველთა დამარცხება, რადგან ციხე საიმედოდ იყო გამაგრებული. ქართველმა მეომრებმა თაბორის მთიდან თოფების სროლით და შეტევით აიღეს ე.წ. „დაბალი ციხე“, ნარიყალა კი კვლავ მაგრად იდგა. გიორგი სააკაძემ ბრძანება გასცა, რომ ნარიყალას წყლის მიწოდება შეწყვეტოდა. მართლაც, კლდეზე გადმოსული წყალსადინარი ღარები აშალეს და ციხეს წყალი შეუწყდა. ქართველები და მათი სარდალი დღე-დღეზე ციხის დაცემას ვარაუდობდნენ, მაგრამ დალატმა აქაც იჩინა თავი. გორელმა ვაჭარმა გიორგი გორგიჯანაშვილმა და თბილისელმა მოქალაქემ — გარსია ჭანოაშვილმა უღალატეს ქართველებს; ისინი მეგობრობდნენ ყიზილბაშ ციხისთავს. რა თქმა უნდა, ეს მეგობრობა მოღალატებს თავიანთი გამდიდრების წყაროდ მიაჩნდათ. ამიტომ, წყლის ღარები ჩუმად აღადგინეს და ციხეს წყალი მისცეს. სააკაძის მეომრები ციხის

ირგვლივ ტერიტორიას მუდმივად ათვალიერებდნენ. როდესაც გაწყობილი ლარები ნახეს, გაკვირვებულებმა მოურავს მოახსენეს. ის მიხვდა, საქმე ღალატთან ჰქონდა. მაშინვე გამოიძია და სიმართლეც გაიგო. მოღალატთა ვინაობის დადგენისთანავე, ისინი თავისთან იხმო. სააკაძის ბრძანებით, ჭანოაშვილს თავი მოკვეთეს, გორგიჯანაშვილი კი ძელზე გასვეს და ქალაქის ქუჩებში ჩამოატარეს.

სააკაძის გამოძიებით გაირკვა, რომ გარსია ჭანოაშვილი ყიზილბაშთა ციხისთავის ურთგულესი მოკავშირე იყო. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ, რომ მას თბილისში მომხდარი ყველა ამბავი შეეტყობინებინა ციხის უფროსისათვის, რასაც გარსია მეტად მოხერხებულად და ორიგინალურად აკეთებდა: თუ ყიზილბაშებისათვის კარგი ამბები ხდებოდა, ჭანოაშვილი წითლად გამოეწყობოდა და ისე დაენაზვებოდა ნარიყალადან გადმომდგარ მოთვალთვალებს, თუ სპარსელებს რაიმე საფრთხე ემუქრებოდათ, შავებს ჩაიცვამდა და ამით გაფრთხილებდა. ამ გაფრთხილების გამო, ჭანოაშვილი ღალატს შეეწირა, გორგიჯანაშვილი კი გადარჩა. ის ქუთათელმა ეპისკოპოსმა იხსნა; მან გიორგი სააკაძეს სთხოვა მისი სიცოცხლე, სააკაძემაც შეიწყნარა ქუთათელის თხოვნა, რადგან შურისძიებაზე მეტად, ამჯერად, უფრო დიდი პოლიტიკური მიზანი ამოქმედებდა.

მალე თეიმურაზ მეფეც მოადგა ქართლს. სააკაძე, ქართველ დიდებულებთან ერთად, მას მცხეთაში მიეგება. სპარსეთის სიძულვილი და ბოლმა მტრის მიმართ ორივე ქართველს – მეფესა და სარდალს – ზომაზე მეტად დაგროვებოდათ: ერთს დედა და საყვარელი ვაჟები მოუკლა შაპმა, მეორეს – შვილი. მარტყოფის ომისა და ქართველების აჯანყების ამბავი შაპისათვის შემაძრწუნებელი შეიქნა და სასწრაფოდ იძია შური მძევლებზე. პაატა სააკაძის მოჭრილი თავი მამას გამოუგზავნა, რათა ამით მაინც დაეტანჯა მოღალატე გურჯი სარდალი. გიორგი სააკაძე, ალბათ, ელოდა ასეთ დასასრულს, სხვა გაგრძელება შაპთან მის ურთიერთობას არ მოჰყვებოდა, მაგრამ გამწარდა. დიდი ძალისხმევა გასწია, რათა შვილის სხეული მოეძებნინებინა და დაემარხა. მანამდე კი ერთაწმინდაში, სააკაძეების საგვარეულო სამარხს მიაბარეს პაატას მოკვეთილი თავი. მალე თბილისელმა ვაჭრებმა, ევროპელი მისიონერების დახმარებით, იპოვეს და წამოასვენეს პაატას გვამი სპარსეთიდან საქართველოში და ისიც ერთაწმინდის მონასტერში დაკრძალეს.

პირად ტკივილებს, ორი ქართველისათვის, საშმობლოს გამო დიდი წუხილი და მომავლით შეშფოთება ემატებოდა. შაპი მათ არ აპატიებდა მარტყოფის ეპოპეას, არც საქართველოს დათმობდა ასე ადვილად, ამიტომ მხოლოდ ცუდისა და საშინელის მოლოდინში უნდა ყოფილიყვნენ. განა ეს მოლოდინი უცხო იყო ქართველებისათვის? მაგრამ ახლა სულ სხვა იყო, თითქოს თვალნათლივ მოჩანდა მთიდან დაქანებული ვულკანის ამონაფრქვევი, ქართლ-კახეთს რომ უნდა მოსდებოდა ცეცხლიან ლავად. და მაინც, იმდღევანდელი გამარჯვებით დატკბნენ ქართველები, ის იზეიმეს სვეტიცხოვლის

დიდებულ ტაძარში, რაზეც უკვე დიდი ხანია ოცნებობდნენ: აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება. ეს კი თეიმურაზის მეფედ კურთხევის ცერემონიალით დაგვირგვინდა. მანამდე იგი კახეთის მეფედ იყო ნაკურთხი. ამჯერად, ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევა იმ ამბიონთან მოხდა, სადაც სამეფო გვირგვინს გაერთიანებული საქართველოს მეფები იდგამდნენ და სადაც განისვენებდა ბევრი ქართველი მონარქი, დაწყებული ვახტანგ გორგასლიდან.

ზეიმობდა ქართველი ხალხი, რომელსაც უყვარს ზეიმი და იცის სიხარულით ატაცება, შეუძლია ჭირის დავიწყება და მთლიანად თავმიცემა დღესასწაულისათვის. მან დროებით დაივიწყა სპარსეთის მრისხანე შაჰი, მაგრამ შაჰს არ დავიწყებია საქართველო. იგი გამაღებული ემზადებოდა შურისსაძიებლად და ამ ქვეყნის სრულად გასაცამტვერებლად.

მარტყოფზე უფრო დიდი მარცხი შაჰ-აბასს არ ახსოვდა, სააკაძეზე და თეიმურაზზე დიდი მტერი აღარ ეგულებოდა, საქართველოზე სამულველი ქვეყანა და ქართველებზე მოღალატე ხალხი ვეღარ წარმოედგინა. არადა, მანამდე ქართველებიც უყვარდა თითქოს, პატივს სცემდა უნდილაძეებს – მამასა და შვილებს, ქართველ ხანებს, თავისი პირადი გვარდის მეთაურობას – ყულაღასარობასა და ისპაპანის ტარულობას* მხოლოდ მათ ანდობდა. ახლა საქართველოს სიძულვილი და შურსძიების გრძნობა მართავდა მხოლოდ და ბრძანა: დიდი ჯარი დაძრულიყო საქართველოს ასაოხრებლად და ამ ჯარს სათავეში მისი უერთგულესი ადამიანი, სიძე, ცხენოსანი რაზმის უფროსი ისახან ყორჩიბაში ჩადგომოდა.

ემზადებოდა სააკაძე და ქართლ-კახეთის ლაშქარიც. ახლა მთავარი სიმშვიდისა და ერთიანობის შენარჩუნება იყო. ქართველების ყველაზე დიდი მტერი, შეუთანხმებლობა, საერთო ენის გამოუნახველობა იყო. პატივმოყვარე არაგვის ერისთავმა, სააკაძის რჩევით, თეიმურაზ მეფეს სთხოვა ასული. თეიმურაზი ხმას არ იღებდა, მაგრამ ავობდა დედოფალი ხორეშანი, ლუარსაბ მეფის და. გიორგი სააკაძისა და მისი ცოლისძმის როლს რა დაავიწყებდა ქართლის სამეფო ტახტის დამხობაში. ყოველშემთხვევაში, ქალს ვერავინ დააჯერებდა, რომ მისი ძმის სიკვდილი და ქართლის დაქცევა სააკაძის და ზურაბ ერისთავის კისერზე არ იდო. ბოლოს მაინც დაითანხმეს.

მარტო ქართლ-კახეთის ძალები იქნებ ვერც მორეოდნენ გაავებული შაჰის გამოგზავნილ უზარმაზარ ლაშქარს. ამიტომ, ქართველებმა ოსმალეთის მომხრობაც სცადეს. მარტყოფის გამარჯვების შემდეგ სააკაძემ სპეციალური შიკრიკი გაგზავნა თურქეთში, ხონთქარს საჩუქრები გაუგზავნა და ყიზილბაშთა მოკვეთილი თავებიც მიაყოლა. ხონთქარს ქართველებმა შაჰ-აბასის წინააღმდეგ ლაშქრობა შესთავაზეს, საამისოდ დაპირებასაც იძლეოდნენ: მთელ ძალებს გამოიყვანდნენ და ოსმალებთან ერთად ყიზილბაშებს ამოწყვეტდნენ, შემდეგ სპარსეთში შეიჭრებოდნენ და შაჰის ძლიერ ხელისუფლებას დაამხობდნენ. ოსმალეთს სამუდამოდ ჩამოაშორებდნენ დიდ მეტოქეს.

მაზანდარანში მდგარი შაჰ-აბასი ცეცხლს აფრქვევდა. ირანის სამხედრო ძლიერება, რომელიც ამ დროს ზენიტში იყო, ქართველების ხელით უცემოდა. ამ

პერიოდის თურქი ისტორიკოსი – იბრაჰიმ ფეჩევი შეულამაზებლად არქმევდა სახელს მარტყოფის ველზე სპარსელთა განცდილ მარცხს: „ორმოცი წლის მანძილზე ასეთი დიდი ზარალი შაპს ჯერ არ მოსვლია“, -ო წერდა იგი. ეს ორმოცი წელი კი მართლაც საოცარი იყო სპარსეთის ისტორიაში. შაპ-აბასმა სპარსული მხედრობის სახელი შორს გასტყორცნა და ისე ააღორძინა ეს იმუამად დაცემული ქვეყანა, რომ საშიშ დამპყრობლად აქცია. მისი ეშინოდათ არათუ ახლო მეზობლებს, არამედ შორეულებსაც, რადგან, სადაც შევიდოდა, ყველაფერს მუსრს ავლებდა და ნაცარტუტას ტოვებდა. აი, ასეთი ქვეყანა და მისი ძლევამოსილი ჯარისკაცები დაამარცხეს ქართველებმა და თანაც როგორ, მსგავსი მარცხი პირველად განაცდევინეს!.. ეს იყო მარტყოფის დიდება ქართველებისათვის, ვაება – სპარსულებისათვის. ქართველობამ უღალატა შაპს, მერედა რა დროს! როდესაც აბასი ოსმალებს ებრძოდა. რაც ტახტზე ავიდა, იქიდან მოკიდებული, შეარყია ოსმალური იმპერია, დასცა მისი დიდება, წაართვა მიწები და სახელი, ახლა კი საქართველომ გატეხა, ოსმალებს გაუკეთა საქმე ირანელთა დახოცვით. ის კი არადა, ქართველები ოსმალებთან ამყარებლნენ კავშირს, ოსმალებს ჰპირდებოდნენ იმ სპარსეთის დამარცხებას, ვისი ნაწილიც, შაპის რწმენით, ეს ქვეყანა – ქართლ-კახეთი იყო.

იბრაჰიმ ფეჩევი თურქებთან გიორგი სააკაძის მიერ წარგზავნილი ელჩობის დეტალებსაც გადმოსცემს თავის თხზულებაში. მისგან ვგებულობთ, რომ ოსმალეთის დიდი ვეზირი და აღმოსავლეთის ჯარების სერასქერი* ჰაფიზ-ფაშა ამ დროს, ანუ 1625 წლის ზაფხულში დიარბექირში* იდგა და ბალდადზე გასალაშქრებლად ემზადებოდა. გიორგი სააკაძემ მასთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილ დელეგაციას თავისი ვაჟი – იორამ სააკაძე ჩაუკენა სათავეში. ელჩობამ ოსმალებს მიართვა საჩუქრები და სააკაძის წერილი, სადაც ქართველი სარდალი იტყობინებოდა მარტყოფის გამარჯვების შესახებ, ნანატრი დროის დადგომაზე, როდესაც ოსმალებს სპარსელთა ჯავრის ამოყრა შეეძლოთ, თუკი ქათველებთან ერთად შეებრძოლებოდნენ მათ. სააკაძე წინადადებას იძლეოდა – ყოფმანისა და დაყოვნების გარეშე, ოსმალთა ჯარი დაძრულიყო განჯა-ყარაბაღსა და შირვანისაკენ. მისვლისთანავე, ეს ქვეყნები უომრად დაემორჩილებოდათ, რის შემდეგაც, სულ იოლად მოახერხებდნენ არდებილისა* და მეშპედის* აღებას და ყიზილბაშთა მთელი ქვეყნის სიმდიდრეს ჩაიგდებდნენ ხელში. ჰაფიზ-ფაშამ სააკაძის შემონათვალი ვერ გაიაზრა და გადამჭრელი ჰასუხიც ვერ გასცა. ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი მრჩევლად ახლდა ჰაფიზ-ფაშას, ურჩია კიდეც – დათანხმებოდა გიორგი სააკაძის წინადადებას, ასეთი შემთხვევა ხელში აღარასოდეს ჩაგვივარდებაო, დაუჯერე სააკაძეს და ჯარით აზერბაიჯანისკენ გაილაშქრეო.

ჰაფიზ-ფაშა ხონთქრის მორჩილი იყო, უთხრა მრჩეველს: ჩვენმა დიდმა ფადიშაპმა (ასე უწოდებდნენ ოსმალები თავიანთ ხონთქარს), ჩვენ ბალდადზე გალაშქრება გვიბრძანა და არა შირვანსა და საქართველოზეო. რაც მეტი არწმუნა მრჩეველმა ფაშა, მით მეტად შეეწინააღმდეგა იგი: თუ წინასწარ არა ვარ გამარჯვებაში დარწმუნებული, ისე ვერაფერ საქმეს ვერ წამოვიწყებო.

ბალდადს რომ ჩახვალთ, განა დარწმუნებული ხართ, რომ გაიმარჯვებთ, ომში სარდალი ხმალსა და ალაპს უნდა მიენდოს და არა წინასწარ აკვიატებულ აზრებსო, — კვლავ ურჩია მრჩეველმა. მთავარსარდალი მაინც არ დაეთანხმა და იბრაჟიმ ფეხევმა იანიჩართა* მეთაურს — ხუსრევ-აღას მიმართა თხოვნით, იქნებ შენ გამოეხმაურო ქათველ სარდალს და შირვანისკენ ილაშქრო. ან გაიკვირვა პაფიზ-ფაშას მრჩევლისა და ისტორიკოსის რჩევა და გადაჭრით უთხრა: ჩვენ მთავარსარდლის ხელქვეითები ვართ და რასაც ის გვიძრბანებს, იმ დავალებას ავასრულებთო.

შაპ-აბასმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას, უზარმაზარი ჯარი შეყარა და სიძე — ისა-ხან ყორჩიბაში ჩაუყენა სათავეში. შირვანის ხანს, ადარბადაგანისა და ერევნის ბეგლარ-ბეგებს უბრძანა, თავის ჯარებით, ისა-ხანს გაჰყოლოდნენ. ისა-ხანის თანაშემწე სარდლებად შაპმა დანიშნა შირვანის ბეგლარ-ბეგი ყაზახ-ხან-ჩერქეზი, ერევნის ბეგლარ-ბეგი — ამირგუნე-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი — შაპბენდე-ხანი და ხოსრო-მირზა დავითის ძე, ქართველი ბაგრატიონი ბატონიშვილი, ისპაპანის ტარულა, გიორგი სააკაძის გამოზრდილი და მისი წყალობით აღზევებული შაპის კარზე. შაპი დიდ შურისძიებას ამზადებდა, ქართლ-კახეთს საშინელი ბედი ელოდა, ახლა კი ნამდვილად ამოწყდებოდა ქართველობა, ეს ტერიტორია სპარსული ტომების საცხოვრისად იქცეოდა. თუკი საშუალებას მისცემდნენ, შაპ-აბასის ჯარები ქართველობის სახსენებელს ამოაგდებდნენ, გიორგი სააკაძეც საგანგებოდ დაისჯებოდა. ამიტომ, ქართველი სარდალი გულდაგულ ემზადებოდა, ატარებდა მრავალგვარ სამხედრო თუ ადმინისტრაციულ ონისძიებას ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. ზურაბ ერისთავის ქორწინებაც, კახეთის მეფის, თეიმურაზის ასულზე, ქართლ-კახეთის ერთიანობის განსამტკიცებლად, შინაგანი გამთლიანებისა და საშიში მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით დაპირისპირებისათვის იყო გამიზნული.

სპარსელების შემოსვლას ქართველები დღე-დღეზე ელოდნენ. შურისძიებისათვის შაპს დროის დაკარგვა არ უყვარდა. ქართველებიც ემზადებოდნენ, 20 ათასიანი ჯარი შეკრიბეს და კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში დაბანაკდნენ. ტრის შემოსვლას აქედან ელოდნენ. სპარსელთა 50 ათასიანი ჯარი მართლაც მალე გამოჩნდა და ქვემო ველი დაიკავა. რატომდაც, სპარსლები იერიშის დაწყებას არ ჩქარობდნენ.

და აი, მარაბდის ცნობილი ბრძოლის წინა პერიოდი, ქართველ-სპარსელთა ომის პრელუდია. რივე მხარე საკუთარ ბედს წყვეტდა, მომავალი შერკინებისთვის ემზადებოდა. ქართველმა მხედართმთავრებმა სამხედრო თათბირი მოიწვიეს, უნდა გადაწყვეტილიყო სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა, სპარსელთა გრანდიოზულ ლაშქართან დაპირისპირების დეტალები. ჩხადი იყო ბრძოლის სიმნელე, 20 ათასი — 50 ათასის წინააღმდეგ. შურისძიებით ანთებულნი, კარგად გაწვრთნილნი, არცთუ ქართველებზე ნაკლები თავგანწირვით მებრძოლი სპარსელები რა დიდ საფრთხეს უმზადებდნენ ორნახევარჯერ მცირე, მაგრამ საკუთარი ქვეყნის გადარჩნისათვის მებრძოლ

ქართველობას!.. თათბირს ესწრებოდნენ: მეფე თეიმურაზი, გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მისი ძმა – დავით ერისთავი, მოწინავე სადროშოს, ქვემო ქართლის სარდალი – ბარათა ბარათაშვილი, გიორგი სააკაძის სიძეები: იასე ქენის ერისთავი და თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ამ უკანასკნელის ძმა – ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, კახეთის სახელოვანი გმირი – დავით ჯანდიერი, მანუჩარ ათაბაგი; სასულიერო პირები: მროველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშნელი. თათბირი დიდხანს გაგრძელდა. თითქმის ყველა დამსწრემ გამოთქვა აზრი, წამოაყენა საკუთარი თვალსაზრისი, დაისახა მიზნები და ამოცანები მომავალი ბრძოლის წარმატებისათვის, იყო იმედებიც და გამოითქვა ეჭვებიც. უპირველესი ყურადღება მაინც სააკაძის სიტყვას ეთმობოდა, რადგან იგი იყო გამოცდილი და ნიჭიერი სარდალი, შაპ-აბასისა და მისი ჯარის თვისებებში კარგად გარკვეული, ქართული ლაშქრის სული და გული. მან თქვა: კარგად ვიცნობ შაპ-აბასს, ვიცი, რასაც წარმოადგენს მისთვის საქართველო, ყველაფერს გააკეთებს მის ხელახლა დასაჩიქებლად, დიდ ჯარს გამოგზავნის, დაველოდოთ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვა შეტევაზეო.

ინისის თვე იყო, დიდი პაპანაქება იდგა, თბილისი და მისი შემოგარენი, ქართლი და კახეთი, თითქოს, იწვოდა. განსაკუთრებული სიცხე ქვემო ქართლში იცის. მაშინაც ასე იყო. სწორედ ამის გამო წამოაყენა სააკაძემ წინადაღება, მარაბდის ველი დაბლაა, ტაფობში, იქ სიცხე კიდევ უფრო მნელი ასატანია, ქართველებს ასეთ პირობებში ბრძოლა გაგვიჭირდება, ყიზილბაშები კი სიცხეს და პაპანაქებას შეჩვეულნი არიან, ამიტომ ბრძოლის ველად ნუ ავირჩევთ მარაბდას, მტერს კოჯორ-ტაბახმელას ვიწროებში შევებათ, ირანელებს უჭირთ ასეთ ადგილებში ომი, არ მიეცემათ მთელი ძალების გაშლისა და გამოყენების საშუალება. ჩვენ ჯარს მთებსა და ხევებში ომი არ უჭირს, ამიტომ აცილებლად ვძლევთ და გავიმარჯვებოთ. გიორგი სააკაძეს განსაკუთრებით ქვეითი ჯარის ბედი ადარდებდა. მარაბდის სიცხიან ველზე ამ ჯარს გაუჭირდებოდა ცხენოსნებთან შერკინება, ისინი შესაძლოა მთლიანად ამოხოცილიყვნენ ყიზილბაშ ცხენოსნებთან ბრძოლაში. ამიტომ სააკაძე მტკიცედ ითხოვდა კოჯორ-ტაბახმელაში დარჩენას და ბრძოლის აქ გამართვას.

სააკაძეს მხოლოდ ზოგიერთმა მოთათბირემ დაუჭირა მხარი. ბაადურ ციციშვილმა მაშინვე თანხმობა განაცხადა, ქვეითი ჯარი, რომელიც გლეხობისაგან შედგება, სრულად ამოგვიწყდება და საქართველო უგლეხკაცოდ როგორდა იქნებაო.

სამწუხაროდ, გიორგი სააკაძისა და ბაადურ ციციშვილის აზრს მეტი მხარდამჭერი არ აღმოაჩნდა. ყველა დანარჩენმა დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლა მოითხოვა. სპარსელები მარაბდის ველზე იყვნენ დაბანაკებულნი, ქართველებიც კოჯორ-ტაბახმელადან იქით უნდა წასულიყვნენ. თუ შეტევა მაღე არ დაიწყებოდა და ლოდინის ტაქტიკას აირჩევდნენ, ჯარი დაიშლებოდა და სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ. სიმართლე ამ თვალსაზრისშიც იყო. დამდგარ ჯარს კვება უნდოდა, ფურაჟით მომარაგება ფეოდალურ ჯარს არ ჰქონდა,

ჯარისკაცები შინიდან წამოღებული საგზლით იკვებებოდნენ. საჭმელი გამოელეოდათ თუ არა, საშინელ დღეში ჩავარდებოდა ჯარი.

ზურაბ ერისთავს სააკაძის აზრი მოეწონა, მაგრამ ეჭვიც გამოთქვა, რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც ჩვენსკენ წამოვა, კოჯორ-ტაბახმელისკენ, იქნებ სხვა გზა აირჩიოს, ამიტომ აჯობებს, დროს ნუ დავკარგავთ, მტერს დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა დგასო.

ბარათა ბარათაშვილი განსაკუთრებით შეწუხებული იყო, მტერი მის მამულში იდგა და ყველაფერს ანადგურებდა (მარაბდის ველი ბარათაშვილების კუთვნილება იყო), ამიტომ აჩქარებდა ყველას, ჯარს ნუ დავშლით, დროს ნუ ვკარგავთ, ხვალ დილითვე დავეცეთ მტერსო.

მუხრან-ბატონებსაც ბრძოლის დაწყება ეჩქარებოდათ, ლაშქრის შენახვის სიძნელეზე საუბრობდნენ, თუ დროს გავწელავთ ველარ დავიჭერთ ჩვენს მხედრებს და დაგვეფანტებიან, ამიტომ ჩვენ თვითონ დავშლით ჯარს, ავიყრებით და გაგეცლებითო.

კახელი სარდლებიც მტერზე მიიწევდნენ, ბევრჯერ დაგვიმარცხებია და ახლაც დავამარცხებთო, – იქადნიდნენ, ხვალ დილითვე დავიწყოთ ბრძოლა და სანამ დაცხებოდეს, მოვრჩებით კიდეცო.

ქსნის ერისთავიც სასწრაფოდ ომს ითხოვდა.

მანუჩარ ათაბაგიც მათ მიემხრო, – სააკაძისა და ციციშვილის მოწინააღმდეგებებს. მისი მტკიცებით, ომს ყოველთვის იგებს ის, ვინც უეცრად უტევს და ურტყამს, მოულოდნელად და გაბედულად, თუ ქართველებიც ასე მოიქცეოდნენ, აუცილებლად დაამარცხებდნენ ყიზილბაშებს. ამიტომ ათაბაგმა თქვა, ხვალ დილით, უთენია დავესხათ მტერსო.

ამ ადამიანების, ქართველი სარდლობის განწყობა, ემთხვეოდა ჯარის საერთო სულისკვეთებას. ისინი სრულად იყვნენ მოტივირებულნი ბრძოლის დასაწყებად, საომარი ცეცხლით ანთებულნი, თავს ველარ იკავებდნენ და მტრისკენ მიიწევდნენ, დაუყოვნებლივ ითხოვდნენ იერიშზე გადასვლას.

სამხედრო თათბირმა არ მოიწონა სააკაძის გეგმა. გადაწყდა, რომ ბრძოლა მეორე დღეს, დიღაადრიან, 1625 წლის 1 ივლისს დაწყებულიყო. მთავარსარდლად არა ბრძოლებში გამოცდილ-გამობრძმედილი და ლვთიური ნიჭით სარდლად დბადებული გიორგი სააკაძე დაადგინეს, არამედ მეფე თეიმურაზი. ასეცაა: ფეოდალურ ლაშქარს ყოველთვის მეფე სარდლობდა, მაგრამ თუ ეს სარდალი პოეტი უფრო იყო და გვერდით სააკაძისნაირი დიდი მხედართმთავარი ჰყავდა, ხომ შეიძლებოდა ტრადიციისა თუ ამბიციის გვერდზე გადადება და მოვლენების ბუნებრივ კალაპოტში მოქცევა! მაგრამ ამას დიდი ნებისყოფა, საკუთარ თავზე მაღლა დადგომა ესაჭიროებოდა. ამას კი ქართველები იშვიათად ახერხებდნენ.

ჯარი 30 ივნისის ღამით აიყარა კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებიდან და უკუნ სიბნელეში დაიძრა მარაბდისაკენ. მტერიც გაფაციცებით ელოდა ამ მომენტს, ქართული ჯარის ველზე ჩამოტყუებაზე ოცნებობდა. რა იცოდა, რომ ქართველები მტრის მიერ დაგებულ ხაფანგში საკუთარი ნებით შემოჰყოფდნენ

თავს. ირანელები უკეთესს რას ინატრებდნენ. ღა ხშირად ხდებოდა ასე საქართველოში, ერთმანეთის შურით, სიბრიყვით, სიძულვილით ისე აივსებოდნენ, რომ ქვეყნის მოღალატედ, თითქმის მტრის მოკავშირედ გამოდიოდნენ.

მარაბდის ველზე ირანელებს სანგრები აეგოთ, ზარბაზნები დაედგათ, გამართული ზარბაზნების უკან ოთხ რიგად დაეყენებიათ მეთოვეები. მეთოვეეთა პირველი რიგი ცალ ფეხზე ჩაჩოქილიყო, მეორე რიგი ფეხზე იდგა, მესამე ცხენზე იყო ამხედრებული, მეოთხე კი აქლემებზე მჯდომი მეთოვეებისაგან შედგებოდა. ეს იყო მოწინავე ჯარი, რომლის სარდლად ამირგუნე-ხანი დანიშნეს, სიმამაცისათვის „ყვითელ ჯიქად“ მონათლული.

ცენტრს, რომელსაც ყიზილბაშთა ჯარის ძირითადი ბირთვი ქმნიდა, თვით ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა. მარჯვენა ფლანგს ქართველი ხოსრო-მირზა ედგა სარდლად, შემდეგში როსტომ მეფე, ყიზილბაშური წესით გამეფებული და ბევრი კარგი ქართული საქმის განმახორციელებელიც, ქრისტიან მეუღლესთან – დედოფალ მარიამთან ერთად მაშენებელი ეკლესიებისა, გზებისა და ხიდებისა. მარაბდის ველზე კი სპარსული ჯარის ერთი სარდალი, ქართული სისხლის დამღვრელი. ამ ჯარშივე, მტრის მხარეს იბრძოდა ბევრი სხვა ქართველიც, სამშობლოდან შორს გაზრდილები თუ ახლახან გაქცეულები, ისეთები, როგორც ყაფლან ბარათაშვილი იყო, ბარათა ბარათაშვილმა რომ ამოუწყვიტა მამა-ბიძები, მიიტაცა მისი მამულები. აფლანი სპარსეთში გაქცეულიყო და ახლა სპარსეთის ჯარს მოჰყოლოდა, პირადი მტრის – ბარათა ბარათაშვილის პირისპირ იდგა. პირადმა მტრობამ ის სამშობლოს მტრად აქცია.

მემარცხენე ფლანგს სარდლობდა ყაზახ-ხან-ჩერქეზი. ჯერჯერობით არსად ჩანდა აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰ-ენდე-ხანი და მისი მხედრობა.

ბრძოლის წინა დღეს, თეიმურაზ მეფემ, ქართული ჯარის მთავარსარდალმა, მზვერავები გაგზავნა მტრის ბანაკში – დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე, ცალი თვალი რომ დაკარგვოდათ ყიზილბაშებთან ბრძოლაში. ჯარი მხიარულობდა მეფის ამგვარ გადაწყვეტილებაზე, რაღაც ცალთვალა სარდლები დანიშნა მტრის სათვალთვალოდო.

მთელი ღამე ბორგავდა საომრად განწყობილი ლაშქარი. კარგად იცოდა ჯარმა, რომ ეს ბრძოლა ქართველების ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტდა, ამიტომ მისი დევიზი იყო: გამარჯვება ან სიკვდილი. გადაწყვიტეს ზიარება მიეღოთ. 20 ათასიანი ლაშქარი იდგა ზიარების რიგში. მათ წინ ეპისკოპოსი, მრავალი მღვდელი და ბერი დამდგარიყო, იარაღასხმულნი იყვნენ სამღვდელონიც, რადგან მტრის სიმრავლე და მისი თანაფარდობა ქართულ ჯართან, ეკლესიის მსახურთ იმის ნებას არ აძლევდა, რომ დრო მშვიდ ლოცვაში გაეტარებინათ და ომის შედეგებს დალოდებოდნენ. მათაც უნდა აეღოთ იარაღი თანამოძმეთა დასახმარებლად, ერის გადასარჩენად.

ჯარი მროველმა ეპისკოპოსმა – დომენტი ავალიშვილმა აზიარა და დალოცა, ჯვრითა და ხმლით გადასახა ჯვარი. დალოცა საქართველოს დროშაც, რომელიც აღათანგ ხერხეულიძის ძმას ებარა. ის იყო მედროშე და

გვერდით შვიდი ვაჟკაცი ედგა, ისინიც მისი ძმები იყვნენ. დღას, ცხრა ძმა ხერხეულიძე, საქართველოს გადასარჩენად, დედისა და დისგან დალოცვილები, გამხნევებულნი: საქართველოს დროშა მიწაზე არ დაეცეს, თუ მედროშე მოკვდეს, მომდევნო ძმამ აიტაცოსო, თუ იმასაც უმუხოლოს ბედმა, მერე მესამემ და ასე მანამ, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდეს. ამასობაში, მტერიც ამოწყდება და საქართველოს დროშაც განუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ. ცხრა ძმა ხერხეულიძე საქართველოს ისტორის წმინდა ხატია, ჩვენი სამშობლოს წმინდა ტაძარში დაბრძანებული. ასე ცხრა-ცხრა, შვიდ-შვიდი მრავალშვილიანი ოჯახების ღირსეული წევრი ქართველები იღუპებოდნენ მტერთან ბრძოლაში, ქართველი ერი ისევ მრავლდებოდა, კვლავ იზრდებოდნენ „ალგეთს ლეკვები მგლისანი“ და მტრის ჯავრს იყრიდნენ.

თენდებოდა. კოჯრიდან დაბლა, მარაბდისკენ ეშვებოდა ქარული ჯარი. მტერმა იცოდა, რომ ქართველებს ამ დილით უნდა დაეწყოთ ბრძოლა. საიდან და როგორ, ამას მნიშვნელობა აღარც აქვს, რადგან მოენებიც ბევრი ჰყავდათ და ასეთ დიდ ომში მსგავსი მოვლენა გასაკვირი არც იყო. წინასწარ გაეთხარათ სანგრები და ჯარიც დაეწყოთ. სანგრებს უკან, მიწაყრილზე ზარბაზნები ეყენათ. ჯარი ისე განელაგებინათ, რომ მეტად შეენარჩუნებიათ სიმტკიცე, მტერს (ქართველებს) სუსტი რგოლი ვერ ეპოვა მათი დაცვის სისტემაში.

მეფემ და მთავარსარდალმა – თეიმურაზმა წინ ცხენოსნები დააყენა, უკან – ქვეითნი. გარიურაჟზე შეებნენ ქართველები მტერს. თოფის მისაწვდენ მანძილამდე ფრთხილად იარეს, მერე კი ფარები აიფარეს, შუბები წაიგრძელეს და გაჭენებული ცხენებით მტერს მიუხდნენ. 12 ათასმა თოფმა და ზარბაზნმა იჭექა სპარსელთა სანგრებიდან, ხშირმა სროლამ და თოფის კვალმა ყველაფერი დაფარა, ქართველთა შეტევა ოდნავ შეაფერხა, მაგრამ მაინც არ შედრკნენ ისინი, სწრაფი სრბოლით შეიჭრნენ მტრის ბანაკში და თავზარი დასცეს სპარსელთა მეწინავე ჯარებს. მძლავრი ყიუინით ეკვეთნენ და შუბების ძერებით შეანგრიეს სპარსი მეწინავენი.

ბრძოლის ეპიზოდებს ხატოვნად გადმოგვცემს სპარსი ისტორიკოსი – ისკანდერ მუნში. მისი ნამბობით ირკვევა, რომ ამირგუნე-ხანის მეწინავე რაზმებმა ვერ გაუძლეს ქართველი ცხენოსნების თავბრუდამხვევ შეტევას და გატყდნენ. მალე ხანი მძიმედ დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მისი ჯარი კი გაიფანტა. „მერე ქართველები ისეთივე გახურებული ხოცვით, – მოგვითხოობს სპარსი ისტორიკოსი, – მეთოვეების რაზმში შიჭრნენ. მათი დარტყმებისაგან მეთოვეების რიგებიც დაინგრა.“ შემდეგ ქართულმა ჯარმა სპარსული ჯარის ცენტრს შეუტია. ქართველების სიმამაცისაგან თავზარდაცემული მოწინააღმდეგის მარჯვენა და მარცხენა ფრთის ჯარები ცენტრს ვერ მიეშველნენ და გაიქცნენ. ქართველებმა სრულად აკაფეს „ყვითელი ჯიქის“ ჯარები; ამირგუნე-ხანის გაზრდილი იყო მანუჩარ ათაბაგი. ახლა ეს სამცხელი დიდებული ქრისტეს რჯულსა და ქართველობას იცავდა, ცხენდაცხენ მიუვარდა გამზრდელს, თავგაპობილი გადმოაგდო ცხენიდან. მანუჩარს მამის

მკლავი გამოჰყოლოდა, მანუჩარ-მუსტაფასი, რომელიც თურქებს ებრძოდა და ბევრი „სამამაცონი ზნენიც“ გამოეჩინა.

,ნამაქართამო“, შესძახა ამირგუნე-ხანმა, რაც ნიშნავდა, არმად ჩემი პურიო, — რატომ მკლავ, განა ჩემი გაზრდილი არა ხარო. ცოტა შერცხვა კიდეც მანუჩარს, ხელი დაუშვა, ყიზილბაშებმა რომ გაიტაცეს დაჭრილი, ხელი არ გაუნძრევია, ისე აცალა. შემდეგ მაინც ამ ჭრილობას შეეწირა ხანი.

მარაბდის ველი თითქოს ადუღდა და გადმოდულდა. ზრდალით, ყიჯინით, კივილითა და ჩეხვის ხმებით აივსო. ხან ალაპ, ილალლაპ!.. ისმოდა, ხანაც — „ქრისტე და საქართველო“. ქართველებმა არნახული სიმამაცე გამოიჩინეს, ყველა ლომგულად ქცეულიყო, ყველა თავგანწირულად იბრძოდა, სამშობლო და ბრძოლის ბედი საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა დაეყენებინათ. იბრძოდნენ სარდლები, თავადები, აზნაურები, გლეხები, ბერები, საეკლესიო პირები. „ჩვენთან არს ღმერთი, გაუმარჯოს საქართველოს“. ეს სიტყვები ოდითგან რომ ისმოდა და ისმის მებრძოლი ქართველის ბაგიდან, ყველაზე ხშირად გაისმოდა მარაბდის სანახებში. ომის გერბიანი სპარსული დროშები ზედიზედ ეცემოდნენ გახურებულ მიწაზე. ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძის ხელით აღმართული გორგასლიან-დავითიან-თამარიანი დროშა.

გიორგი სააკაძე, მათალია მთავარსარდალი არ იყო, მაგრამ რეალურად ის გახდა ბრძოლის სული და გული. მუზარადი მოიხადა, რათა მტერს ჩვენებოდა. სპარსეთში ხომ მისი მითი ადამიანებს ომის ქარცეცხლის სიმბოლოდ ევლინებოდათ, აშინებდათ და უკან ახევინებდათ. ფსიქოლოგიურად ძლიერად ზემოქმედებდა ქართველთა ჯარში ჩამდგარი სააკაძე, რომელიც ათწლეულები იდგა სპარსული ჯარის რიგებში და ამ ქვეყნის მტრებს ზარავდა. ახლა ეს გმირი, სპარსეთის გმირი, ქართველების მოთავე და სპარსთა მმუსვრელი გამხდარიყო, გამგელებული ებრძოდა საშიშ მტერს, იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისიანებს, ყიზილბაშთა გამორჩეულ რაზმებს არჩევდა, შეუტევდა და მუხლჩაკეცილი ეშვებოდა ძირს სპარსული რაზმი. მტერიც მის მოკვლას ცდილობდა. მისი თავით, ალბათ, შაპ-აბასის წინაშე ყველაზე მეტად შეიძლებოდა თავმოწონებაც და ჯილდოს მიღებაც. ამიტომ იწევდნენ მისკენ, მაგრამ მის გაავებულ მზერას და გაფიცხებულ ბრძოლას რომ შეხედავდნენ, წამსვე იხევდნენ უკან.

სპარსმა მეომარმა ესროლა თოფი. სააკაძე თითქოს გუმანით გრძნობდა ყველა შემოტევას, ზურგით რომ მდგარიყო, მაშინაც კი, და ელვისუსწრაფესი რეაქციით ირიდებდა მტრის განზრახვას. ახლაც მანამ იგრძნო, სანამ ტყვია მის სხეულამდე მოაღწევდა, ცხენი ყალყზე შეაგდო და მაღლა ატყორცნილი სხეულით გადარჩა ტყვიისგან, სამაგიეროდ, ცხენი დავარდა უსულოდ მიწაზე. უცხენოდ დარჩენილ გმირს გვერდით მებრძოლმა — ლომი ჩრდილელმა საკუთარი დაუთმო. წამიერად მოახტა სააკაძე და თავისი ცხენის მკვლელს დაედევნა, ხმლით ჩამოაგდო, მოკლულის ცხენი ჩრდილელს მისცა.

ვეფხვივით იბრძოდა ზურაბ არაგვის ერისთავიც. ბრძოლაში დაჭრილიყო, მაგრამ არავის უსმინა, არ დატოვა საომარი ველი.

ქართველები, ყიზილბაშთა ცენტრში შეჭრილნი, საომარი ფლანგებისაკენ გაიშალნენ ორმხრივ საიერიშოდ. ტრის ვერცერთმა ფლანგმა ვერ შეძლო ვერც თავისიანთა მიშველება, ვერც ქართველთა გახელებული იერიშების მოგერიება.

სპარსელებმა მარცხენა ფლანგზე მიიტანეს იერიში, ავთანდილ სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის ხელმძღვანელობით. ამ ფლანგს ყაზახ-ხან ჩერქეზი მეთაურობდა. ის ქართველთა შემოტევის სისწრაფემ დააბნია, თავზარდაცემული გარბოდა და ჯარიც უკან მისდევდა. ქართველებიც დაედევნენ თავიანთი ჯარით. მარაბდის ველს გადასცილდნენ სპარსელებიც და ქართველებიც. მის ბედზე ამანაც იქონია გავლენა. იქნებ, ეს აჩქარება იყო ქართველ მეომართა მხრიდან, მტერს არ უნდა გამოდევნებოდნენ და ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ლაშქრის ბირთვს არ უნდა ჩამოეცილებინათ. ამით ქართველთა ძალები დასუსტდა.

თუმცა, ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც ჩამოსცილდა ბრძოლას. ამ ფლანგს გამაპმადიანებული ქართველი – ხოსრო-მირზა სარდლობდა. რატომ შედრკა შაპის სასახელო გურჯი, არავინ იცის. იქნებ, მასაც აუღელდა ძარღვებში ქართული სისხლი, საქართველო დაენანა და ბრძოლის შესაწყვეტად საბაბიც ნახა – ჯარი უეჭველ დაღუპვას გადაარჩინა. ეს ქართული ოცნებაა. ქართველების სიცოცხლე როგორ შეეძლო გაეწირა ქართველ სარდალს, კარგად გამოჩნდა მის მიერ ქსანზე გამართულ ბრძოლებში, რომელიც მარაბდის ომს მოჰყვა. მაგრამ მთავარი „გადამრჩენი“ სპარსეთის ჯარისა და მარაბდის ველზე სამარცხვინო დამარცხების გამარჯვებით შემცვლელი – მთავარსარდალი ისა-ხან ყორჩიბაში შეიქმნა. მან აარჩია განსაკუთრებულად შემართებული და მამაცი მეომრები და ღრმა ზურგში გადავიდა, მოიერიშე ქართველებს კი წინ დაუგდო „ორდუვაზარი“. ეს იყო სადგომი, სადაც ინახებოდა სპარსელთა მთელი ქონება, სიმდიდრე, ფული, საქონელი.

ქართველებს, თავი გამარჯვებულად რომ ჰქონდათ დაგულვებული, ბევრი აღარ უფიქრიათ, იარაღი დაყარეს და ამ სიმდიდრეს მიესივნენ. აირივნენ სიხარბით ავსილნი, იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც წაეწეოდნენ: ძვირფას, ოქრო-ვერცხლით მოსევადებულ ხმალ-ხანჯლებს, თოფებს, რახტებს*, უნაგირებს, ხალათებს, კაბა-ჯუბაჩებს და სხვა.

ჯარი ერთბაშად მოიშალა, სახე დაკარგა, ბრძოლის უნარი და შემართება დაუქვეითდა, ფაქტოურად, მბარცველთა ბანაკად იქცა.

სად იყნენ ამ დროს ჯარის სარდალი თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე? მათ არც იცოდნენ ეს ამბავი. დაჭრილი ზურაბ ერისთავიც სისხლისგან იცლებოდა, ერთის სიძე იყო, მეორის ცოლისძმა, ამიტომ დიდი მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავზე, ქართველთა სრულ გამარჯვებაში დარწმუნებულებს, ეჭვად არ ჰქონდათ, რომ ომის ბედს რამე შეცვლიდა.

ამ დროს ერთბაშად, დიდი ხმაურითა და ზათქით შემოიჭრა მარაბდის ველზე სპარსელთა ახალი ძალები. აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი – შაჰენდე-ხანი, რომელიც მანამდე არსად ჩანდა, დასვენებული, სრულად აღჭურვილი და ენერგიით ავსილი ძალებით მოდიოდა ქართველთა წინააღმდეგ. ისმოდა ზურნა-

დაფების, დუდუკების, ნაღარებისა და დოლ-ბარბითების* გამაყრუებელი ხმაური, მაპმადიანი მებრძოლების ყურთასმენის წამლები ყიჟინა.

ასე, ელვისუსწრაფესად შეტრიალდა მარაბდის ომის ბედისწერა.

სამ რიგად წამოვიდნენ ყიზილბაშები: ცენტრში ისა-ხან ყორჩიბაში იდგა თავისი ჯარით, მარჯვნივ – შაპბენდე-ხანი და მარცხნივ – ხოსრო-მირზა.

სპარსელები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როდესაც ქართველებს უკვე დამთავრებული ეგონათ. თითქმის დაშლილი ქართული ჯარით, მაინც თავგადაკლული იბრძოდნენ, საარაკო იყო მათი გულოვანება. ბძოლის ბედი წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ თუნდაც ღირსეული სიკვდილისათვის შეერკინენ მტერს ქართველი მეომრები.

მკერდშემუსვრილები დაეცნენ ცალთვალა რაინდები – დავით ჯანდიერი და აღათანგ ხერხეულიძე, მკლავმოუღლელი თეიმურაზ მუხრან-ბატონი. ჯარში მაშინვე გავრცელდა ეს ამბავი, თეიმურაზი მოკლესო, რომ დაიძახეს, ყველას მეფე ეგონა მკვდარი, ამ შემთხვევაში კი – მეფის სიკვდლის ცნობა ომის დასასრულს ნიშნავდა. დაკარგა ჯარმა რწმენა და იმედი, ცხენოსანი ჯარი შემობრუნდა და გაიქცა. ამაოდ ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გაქცეულთა შეკავებას. კვლავ არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი, ადრე გაქცეულ სპარსელ ჯარებზე მდევარნი. არადა, ქართულ ლაშქარს როგორ სჭირდებოდა მარაბდის ველზე მათი ყოფნა. მიყოლებით დაეცნენ მედროშე ხერხეულიძეები.

ლომივით იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი სააკაძე. იბრძოდა მეფე თეიმურაზი, როგორც გმირი და სარდალი, მამაცი ხელმწიფე. იმ დღეს მან ყველა იარაღი დაამსხვრია ბრძოლაში, ბეჭდებიც კი დაემტვრა მუშტის ძგერებით.

ბრძოლაში გამორჩეული იყო მანუჩარ ათაბაგი და მისი ყმებიც. ტყვით განიგმირნენ ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშნელი, დაეცა ბაადურ ციციშვილიც.

უკანასკნელმა ქართველი თავადაზნაურობის ცხენოსანმა რაზმმა დატოვა ბრძოლის ველი და კოჯორს მიაშურა თავშესაფრად. მეთოვეთა ათასეული შეუსიეს ყიზილბაშებმა მარაბდის ველზე დარჩენილებს, სადაც ჯერ კიდევ ფრიალებდა ქართული დროშა, მაგრამ როდესაც უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცა, ცხრა ძმიდან ბოლო, დროშაც მიწაზე დაენარცხა. ბრძოლის ველზე მეომრების დედა და და მივიდნენ, მათ ასწიეს დაცემული ქართული დროშა და კვლავ ააფრიალეს, მაგრამ ამაოდ.

ცხრა ძმა ხერხეულიძის გმირობას ხოტბას ასხამს ქართული პოეზია. ლადო ასათიანის ლექსში ვკითხულობთ, თუ რა ტრაგიზმი იდო მარაბდის გმირთა სულისკვეთებაში, უმხედრებოდ დარჩენილ ცხენთა ჭიხვინში:

„ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია,

ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?

საით წავიდნენ ვაჟები რად მიატოვეს რაშები,

რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!“

ასე შეიცვალა დიდი გამარჯვება მარცხით, ქართველი მხედრობის აღზევება – დაცემით. მიზეზი? მიზეზი იყო დაუდევრობა, სიხარბე, გაუაზრებლობა და ძალთა დაფანტულობა. მაგრამ სპარსეთი? გაიმარჯვა კი სისხლიანმა შაპ-აბასმა?.. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სააკაძის გეგმა უმჯობესი იყო, მაგრამ საქმეს ვეღარაფერი გამოასწორებდა. თავადების პოლიტიკური სიბეცე-შეზღუდულობა და ამბიციები, ფეოდალური ლაშქრის უდისციალინობა და ცუდი შეიარაღება იყო მარაბდაზე ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი.

2 ივლისს დიღით, მარაბდის ველზე, დაახლოებით 23 ათასი მკვდარი ესვენა. ქედან 14 ათასამდე, სპარსელი იყო, 9 ათასამდე – ქართველი. ეს ომი გამარჯვებად არ ჩაუთვლია შაპ-აბასს, არც ქართველებს მიუწნევიათ თავი დამარცხებულად. მათ ბრძოლა გააგრძელეს იგი და იმავე დღეს (2 ივლისს) შეებნენ ერთმანეთს კოჯორ-ტაბახმელას ხევებში. სპარსელები შიდა ქართლისაკენ აპირებდნენ გაჭრას. გიორგი სააკაძემ ჯარი მცირე რაზმებად დაყო და პარტიზანული ბრძოლები გააჩალა. ათი დღე-ლამე აკავებდნენ ქართველი მეომრები კოჯორის ტყეებში ყიზილბაშებს. ამასობაში, ქართლის მოსახლეობა საიმედო ადგილებში იზიზნებოდა.

თბილისის ციხიდან გამოვიდნენ აქ მდგარი ყიზილბაშთა ჯარისკაცები და თბილისის გარშემო არსებულ სოფლებს მოედვნენ. ააოხრეს ლისი, სააკაძის კუთვნილი სოფელი. სამოცი მეომრით შეებრძოლა ლისში მოთარეშე შვიდას ყიზილბაშს სააკაძე და ყველანი სიცოცხლეს ისე გამოასალმა, თავად ერთიც არ დაღუპვია სამოციდან.

ამის შემდეგ, გიორგი სააკაძე ქართლში მიმავალ სპარსელთა ჯარს ღართისკარში გადაუდგა და სრულად ამოწყვიტა. ჯარი ქართლში სათარეშოდ და საძარცვად მიდიოდა. ამას გარდა, ისა-ხან ყორჩიბაშს შაპისაგან სპეციალური დავალება ჰქონდა: არშის ციხიდან უნდა დაეხსნა მისი შვილიშვილი და სიძე, ანდუყაფარ ამილახვარი. ანდუყაფარი შაპის ცოლისძმაც იყო. თუმცა, ვინ აღარ იყო შაპის ცოლისძმა თუ მოყვარე საქართველოში, მისი პარამხანა ხომ ქართველი ქალებით იყო სავსე!.. ისა-ხანი ქალიშვილის გამოხსნისათვის ყველაფერს აკეთებდა, ამ ცბიერ ადამიანს ეხერხებოდა სხვების მოტყუება, ანკესზე ადვილად წამოაგებდა ხოლმე პატივმოყვარეებს. ახლა ზურაბ არაგვის ერისთავს შეუწნდა: ხომ იცი, შაპს როგორ უყვარს შვილიშვილი (ის კი არა, მე როგორ მიყვარს ქალიშვილი), შაპი აუცილებლად დაგიმადლებს, წყალობას არ მოგაკლებს და აღარც შეგრისხავს. მან ხომ მარტყოფისა და მარაბდის ომებში ნამდვილი თავგანწირვით იბრძოლა და მრავალი ყიზილბაში გამოასალმა სიცოცხლეს. ზურაბ ერისთავი მხოლოდ ერთმა რამემ მოხიბლა ყორჩიბაშის წინადადებაში: სპარსეთის ჯარი არაგვის ხეობაზე გაივლიდა, მაგრამ უკან ქსნის ხეობით დაბრუნდებოდა. ამასთან, არაგვის ხეობაში ხელს არაფერს ახლებდა. მაგრამ რას იზამდა ეს ჯარი ქსნის ხეობაში, ამის პირობა სპარსელ სარდალს არ მიუცია არაგვის ერისთავისთვის. მანაც იფიქრა: თუკი ჯარი ააოხრებს ქსნის საერითავოს, კიდევ უკეთესი, ჩემი მეტოქე ერისთავი

დასუსტდებაო. თანაც, შაპის წყალობა ახლა ნამდვილად სჭირდებოდა სააკაძის თანამოაზრესა და სპარსელთა დაუძინებელ მტერს.

არშამდე, რომელიც თერგის ხეობაში მდებარეობს, სპარსელებმა წყნარად მიაღწიეს, გაათავისუფლეს ტყვები და უკან დაბრუნდნენ, გადმოლახეს ლომისის მთა და ქსნის ხეობაში ჩამოვიდნენ.

დიდი სისხლისღვრა ელოდა ქსანს.

გიორგი სააკაძე სწორედ ქსანზე დამდგარიყო სამხრეთისაკენ მომავალი მტრის დასახვედრად „იასე ქსნის ერისთავი და ქაიხოსრო მუხრან-ბატონიც შეუერთდნენ სააკაძეს თავიანთი ჯარებით. მოურავს ზურგს უმაგრებდნენ უმცროსი ცოლისძმები – დავითი და გიორგი, რომელთაც უფროსი ძმის საქციელი, საარაგვოში მტრის შემოშვება, – მოსაწონად არ მიიჩნიეს. ქართველებმა სპარსელები შუაში მოიქციეს, ისე ამოწყვიტეს მომავალნი, რომ მსგავსი გამარჯვება ჯერ არც თქმულიყო. ქსანი წითლად შეიღება და სისხლისფრად დიოდა.

ქართველებმა ტყვედ აიყვანეს შაპბენდე-ხანი – აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი, რომელმაც ქართველთა მარცხით დაასრულა ქართველების მიერ უკვე მოგებული მარაბდის ომი. ქართველებმა ტყვე იქვე აჩესეს.

ყიზილბაშთა მეორე სარდალი – შირვანის ბეგლარ-ბეგი – ყაზახ-ხან ჩერქეზიც შეიკყრეს, მიჰევარეს ჯერ ზურაბ ერისთავს, შემდეგ – თეიმურაზს. მათ ტყვე დაზოგეს, სასიკვდილოდ არ გაიმეტეს, პურ-მარილი მიგვიღია მისგანო, – განაცხადეს. დატყვევებულმა ხანმა მცველები მოისყიდა და გაიქცა. ქსანზე ყველაზე მეტად ქართველი ხოსრო-მირზა იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. მასში ბაგრატიონთა სისხლი ქართველი გლეხი ქალის სისხლს შერწყმოდა. ამ თავდადებას, თავზეხელალებულ გმირობას ჩააგონებდა. 12 ათასი სპარსელისაგან ქსანზე თითქმის აღარავინ დარჩენილიყო. ხოსრო-მირზას და გიორგი სააკაძის შეტაკება ყველაზე მძიმე იყო ამ ბრძოლაში. და როდესაც გათათრებულმა ქართველმა მოახერხა სააკაძის ალყიდან თავის დაღწევა, სააკაძეს დიდი დევნა არ დაუწყია. შედამების ბინდში შეძლო შაპ-აბასის საყვარელმა გურჯმა გაქცევა და მთელი ღამის აწყვეტილი ჭენებით ჩავიდა თბილისში, თან ჩაუყვანა ყორჩიბაშს ასული, ანდუყაფარ ამილახვარის ცოლ-შვილი, რითაც ძალზე გაახარა სარდალი. შაპ-აბასის დავალება შესრულებლი იყო, მაგრამ მისი მთავარი სურვილი ვერ აცხადდა, ვერ ამოძირკვა ქართველისა და საქართველოს სახსენებელი, ქსანზე უამრავი სპარსელი მხედარი ჩაწყდა, მარაბდის სისხლი და ბოლმა ქართველებმა გადაჭარბებით აიღეს.

მტრის არაერთი რაზმის განადგურების შემდეგ, სპარსთა ზარალმა სულ 60 ათას კაცს მიაღწია, რაც ირანის მთელი შეიარაღებული ძალების თითქმის ნახევარი იყო. ეს, ფაქტობრივად, შაპ-აბასის დამარცხებას ნიშნავდა. ის დამარცხდა, მთავარი მიზანი ვერ აისრულა, ამიტომ განზრახვაზე ხელის აღება და უკანდახევა ამჯობინა. შაპმა ქართველი თავადების დაყვავება-დაშოშმინება, საჩუქრებითა და თანამდებობებით მათი გულის მოგება სცადა და მოახერხა კიდეც. ბოქაულთუხუცესმა ქაიხოსრო ბარათაშვილმა, რომელიც მარტყოფისა და

მარაბდის ომებში სააკაძის გვერდით იდგა, ახლა ყიზილბაშებს მიართვა ქვემო ქართლის უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე ბირთვისი. სამაგიეროდ, მას ყორჩიბაშმა ქვემო ქართლის სპასალარობა უბოძა, რომელიც მანამდე ბარათა ბარათაშვილს ეპყრა. გათათრებული ქაიხოსრო 1626 წელს თბილისის მოურავიც გახდა. ღალატი ბევრმა ჩაიდინა, მაგრამ სპარსელები მაინც გახდნენ იძულებულნი, დაეტოვებინათ საქართველო. ყორჩიბაშისთვის ძნელი იყო აქ ფეხის მყარად მოკიდება. მისი სიძე – ანდუყაფარ ამილახვარიც მოულოდნელად გარდაიცვალა. თითქოს ბოროტებამ უწია – მცხეთის ტაძარი რომ გაძარცვა და მცხეთელი დეკანოზის მოლა-მუეძინით შეცვლა მოინდომა, სწორედ იმ დროს, ფეხი დაუცდა ნარიყალადან და სული აღარ დაჰყოლია. დაქვრივებული ქალიშვილით და შვილიშვილებით გაემართა ყარაბაღში ისა-ზან ყორჩიბაში. როცა ქსნის ამბები მოახსენეს, შაპ-აბასმა თქვა: ნამდვილი გმირი და ვაჟკაცი მხოლოდ ხოსრო-მირზა ყოფილაო. ხოლო როდესაც ხოსრო-მირზაც დაბრუნდა და ანდუყაფარ ამილახვარის ოჯახი მოუყვანა, მაშინ შაპმა ბრძანა, ამიერიდან ჩემი ყულარ-აღასი* ხოსრო მირზა იქნებაო. ისპაპანის ტარულა უკვე იყო ეს მამაცი ქართველი და მეორე თანამდებობაც, თავისი უერთგულესი ყულის ჯარის უფროსობაც მას მისცა შაპმა. ქართველებზე გამწარებულმა, ისევ ქართველში ჰპოვა დასაყრდენი.

1626 წელს მოხდა ბაზალეთის ბრძოლა – გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის მომხრებს შორის ატეხილი სამოქალაქო ომი. სააკაძემ ამაოდ იბრძოლა, ამაოდ სცადა ოსმალეთის დახმარება ირანის საბოლოოდ დასამხობად. ვერც საქართველო გააერთიანა და ვერც მტერი მოსპო, რადგან სპარსეთმა ერთმანეთს აუმსხედრა ორი ქართვლი: მეფე თეიმურაზი – დიდად ტრაგიკული პიროვნება და საქართველოს უნიჭიერესი მხედართმთავარი, გიორგი სააკაძე. ბაზალეთის ომის შემდეგ სააკაძე სამუდამოდ გადაიხეწა საქართველოდან.

1629 წელს შაპ-აბასი მოკვდა.

იმავე წელს, ოსმალეთში გიორგი სააკაძეც მოკლეს.

სულ მალე, ხოსრო-მირზა ქართლ-კახეთის მეფე გახდა, მეფე როსტომის სახელწოდებით. ისტორიაში არცთუ ცუდი სახელი დარჩა: მეუღლესთან – მარიამ დადიანთან ერთად, ბევრი კარგი ქართული საქმე გააკეთა; აშენებდა ეკლესია-მონასტრებს, ციხე-ქალაქებს, ააღორძინა ქვეყნის ეკონომიკა, მშვიდობა დამყარდა ქართლ-კახეთში, თუმცა ქრისტიანული რჯული და ეროვნული ტრადიციები შელახა, მაგრამ ამას იმ დროს მაინცდამანც არავინ განიცდიდა, რამდენიმე პატრიოტი ქართველის გარდა. ის კი არადა, თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ბაძავდა მეფეს და სპარსული ცხოვრების წესს ირჩევდა. აღარავინ იხსენებდა მარაბდაზე და ქსანზე მეფისგან დაღვრილ ქართულ სისხლს. ანდერძიც ერთგულად შეუსრულეს: სიკვდილის შემდეგ ყუმში წაასვენეს და შაპ-აბასის გვერდით დაკრძალეს.

მარტყოფი და მარაბდა კი ჩვენი ისტორიის ის ფესვებია, რომელიც ქართულ მიწაშია გადგმული, ქართულ სულსა და ცნობიერებას ამაგრებს და მომავლისათვის საბრძოლველად განაწყობს ჩვენი ქვეყნის შვილებს. ისტორია

გვასწავლის ვის მივბაძოთ, ვისგან რა გადმოვიღოთ, რას გავუფრთხილდეთ და რა ფასეულობები გვეძვირფასებოდეს. ისტორია იმასაც გვასწავლის, — რა იყო ცუდი და რა აღარ უნდა გავიმეოროთ, რას შევებრძოლოთ...

მარტყოფი და მარაბდა საქართველოს ისტორიის სუკეთესო გაკვეთილებია.

განმარტებითი ლექსიკონი *

ამასიის ზავი – ქალაქი თურქეთში, ამასიის ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი. 1555 წლის 29 მაისს აქ დაიდო ზავი ირანსა და თურქეთს შორის. დამპყრობლებმა ამიერკავკასია, მათ შორის საქართველოც გაინაწილეს. თურქეთს ერგო იმერეთის სამეფო სამეგრელო-გურიის სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი; ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, – მტკვრის აუზი.

არდებილი – ქალაქი ირანში, მდებარეობს ირანის ზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში.

ბარბითი – აღმოსავლური მუსიკალური სიმებიანი საკრავი.

დიარბექირი – ქალაქი თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე სირიისა და ერაყის საზღვრის სიახლოვეს, დიარბექირის ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი.

იანიჩარი – თურქული სიტყვაა, ნიშნავს ახალ ჯარს. ოსმალეთში, XIV–XIX საუკუნეებში ერქვა პრივილეგირებულ ქვეით ჯარს, რომელსაც ძირითადად ადგენდნენ ბავშვობაში ტყვედ ჩავარდნილი და გამაპმადიანებული ქრისტიანებისაგან. იანიჩარები იყვნენ ქართველებიც.

მეშქედი – ქალაქი ირანში, ხორასნის ოსტანის (ოლქის) ადმინისტრაციული ცენტრი.

რახტი – ცხენის აღკაზმულობის ნაწილის – აღვირის მორთულობა. არის ოქროსი ან ვერცხლის.

რენეგატი – მოლალატე, განდგომილი ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა.

სერასქერი – თურქული სიტყვაა, ოსმალეთში ისტორიულ წარსულში ერქვა არმიის მთავარსარდალს, სამხედრო მინისტრს.

ტარული – ქალაქის თავი ირანში.

ყულარ-აღასი – შაპის პირადი გვარდიის მეთაური ირანში. ეს თანამდებობა შაპ-აბასის დროიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ეჭირათ ქართველ სარდლებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- პლატონ იოსელიანი, დიდი მოურავი, გიორგი სააკაძის ცხოვრება, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1973.
- ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973.
- ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948.
- ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, 1958.
- ფ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, 1965.
- ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1926.
- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948.
- იბრაჟიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სერგი ჯიქიას თარგმანი და მეცნიერული გამოცემა, თბილისი, 1964.
- იოსებ ტფილელი, დიდოურავიანი, 1939.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
- საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, რედაქტორი გ. მელიქიშვილი, 1980.
- თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1974.
- თ. უორდანია, ქრონიკები, II, 1897.
- ლ. სანიკიძე, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1988.
- ჯ. ღვინჯილია, გიორგი სააკაძის პიროვნება, თბილისი, 1980.
- ნ. შენგელია, მუსტაფა ნაიმის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1979.
- გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1964.
- მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1971.